№186
(12 256)

9 აგვისტო ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

ვინც მჭირდებოდა, ყველა გამოვიძახე!

ტოპმიოლერს ახალკაცისგან 100-პროცენტიანი ნდობა აქვს

საზაფხულო ადრადეგები დასრულდა. დასრულდა ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერისთვისაც. ტოპი ახლა მომავალი მატჩებისთვის ემზადება. ჩვენი გუნდი შეკრებას 20 აგვისტოდან დაიწყებს, 22 აგვისტოს კი, მოგეხსენებათ, ლუქსემბურგში გამართავს ტესტმატჩს. გუშინდელ ნომერში იმ ფეხბურთელთა სია გაგაცანით, ვისაც ტოპმიოლერმა ამ შეხვედრისთვის უხმო. გუშინ კი, ჰერ კლაუსს სახლში შევეხმიანეთ და კარს მომდგარი მატჩების გარდა, ფეხბურთელების მზადყოფნაზე, ახალ კონტრაქტსა და კიდევ რამდენიმე საინტერესო საკითხზე გავესაუბრეთ.

- ჰერ ტოპმიოლერ, სამშაბათს იმ ფეხბურთელების სია გამოაქვეყნეთ, რომლებიც ლუქსემბურგში იასპარეზებენ. რამდენად კმაყოფილი ხართ ამ შემადგენლობით, იქნებ არსებობს ესა თუ ის მოთამაშე, რომლის გამოძახებაც გსურდათ, მაგრამ ვერ მოახერხეთ?

- თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ კმაყოფილი ვარ, რადგან შეძლებისდაგვარად საუკეთესო შემადგენლობას მოვუყარე თავი. ყველას ვუხმე, ვისი გამოძახებაც მინდოდა და ვინც ტრავმირებული არ არის. რევიშვილი დაშავებულია და მის ნაცვლად თევდორაძე გამოვიძახე - ეს ბიჭი ძალიან მომწონს. მაკარიძე და ლორია ხომ 21-წლამდე ნაკრებში თამაშობენ. მათე ღვინიანიძე და ჯაბა კანკავა პეტარ სეგრტს დავუთმე. ცხადია, ისინი ეროვნული ნაკრების წევრები არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ახალგაზრდულ ნაკრებში უფრო საჭირონი არიან. თანაც, კანკავა უკრაინასთან მატჩისთვის დისკვალიფიცირებულია და რაკი 21-წლამდელთა ნაკრებში თამაში შეუძლია, მით უმეტეს, უმჯობესია, რომ ამ გუნდს დაეხმაროს. ძალიან მინდოდა, რომ ლუქსემბურგში ლევან მჭედლიძეს ეთამაშა, ამ ბიჭზეც უდიდეს იმედებს ვამყარებ, მაგრამ მჭედლო ტრავმირებულია. საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ და მოუთმენლად ველი ჯერ ლუქსემბურგთან თამაშს, მერე კი ოფიციალურ მატჩებს.

- ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, ნაკრებს მალხახ ასათიანი უბრუნდება. ცხადია, გახარებული იქნებით...

- რა თქმა უნდა! ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს. ყოველთვის ვამბობდი, რომ ასათიანი გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა, ჩემთვის კი დიდი იმედია. მიხარია, რომ გამოჯანმრთელდა და ათმაგად სასიხარულოა ის, რომ მის გამოყენებას შევძლებ. მალხაზს ის წყეული ტრავმა რომ არ მიეღო, დარწმუნებული ვარ, რომ წინა მატჩებში გაცილებით უკეთ ვიასპარეზებდით. რომ არა ის ტრავმა, ახლა ევროპის რომელიმე ტოპკლუბის წევრი იქნებოდა. არა უშავს, ჯერ ახალგაზრდაა და წინ დიდი მომავალი აქვს. ასათიანის დარ უნივერსალურ ფეხბურთელს ხომ ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა.

- ლევან ცქიტიშვილი უგუნდოდაა. ეს კი სერიოზული პრობლემაა...

- ცხადია, პრობლემაა ის, რომ ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა უგუნდოდაა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაკი უგუნდოდაა, ნაკრებში არ უნდა გამოვიძახოთ. ცქიტოს დარი გამოცდილი და მრავლისმნახველი ფეხბურთელი ბევრი არ გვყავს - ის ნაკრებს ძალიან სჭირდება. შეეძლო, საბერძნეთში დარჩენილიყო და მიკვირს, რომ ასე არ მოიქცა. იმედი მაქვს, რომ გუნდს მალე იპოვნის. ცქიტომ ნაკრებში არაერთი კარგი მატჩი ჩაატარა და ის დღესაც საჭირო კაცია...

3

ახალი სპონსორი და სტადიონი

როგორი იქნება ვიტ ჯორჯია ათწლიანი დაძველებით?

ინტერვიუ კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძესთან 2

საკლუბო ამბები

ახალი კახეთი ახალი გეგმებით. ტორპედოს ნება დართეს... 2

უკვე ყველაფერი დამთავრდა

რატომ ამჯობინა ჯაბა კანკავამ დნეპრი მიუნხენს? 4

ჩიხი

იუვე და დელ პიერო ახალ კონტრაქტზე ვერ თანხმდებიან 5

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ინტერვიუ გურამ რუხაძესთან

როგორი იქნება ვიტ ჯორჯია ათწლიანი დაძველებით?

საშემოდგომო და საგაზაფხულო გეგმები: HILL'S და სტადიონი

"ვიტ ჯორჯია" ათი წლის წინათ შეიქმნა და დაარსებიდან საკუთარ საკლუბო პოლიტიკას მკაცრად მისდევს. ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, სხვა გუნდებიდან არ იწვევს ფეხბურთელებს, საკუთარ კადრებს ეყრდნობა და ეროვნულ ჩემპიონატში თითქმის სულ მოწინავეთა შორისაა.

"ვიტ ჯორჯიას" არაერთი სარფიანი ტრანსფერი განუხორციელებია: ალეკო გოგობერიშვილი და ლევან მელქაძე "დინამოში"; ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი კიევის "დინამოში"... "ვიტ ჯორჯია" ფაქტობრივად ფეხბურთელთა ექსპორტიორ კლუბად იქცა, საუკეთესო შედეგი კი 2004 წელს ჰქონდა - საქართველოს ჩემპიონი გახდა.

წინა სეზონში "ვიტ ჯორჯიამ" ეროვნულ ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დაიკავა. ამ კლუბს არასოდეს ჰქონია კატეგორიული მიზანი - მხოლოდ ჩემპიონობა ან თასი, მისი მიზანი საკუთარი, ჩამოყალიბებული საკლუბო პოლიტიკაა.

დამდეგი სეზონიდან "ვიტ ჯორჯიაში" რამდენიმე სიახლეა მოსალოდნელი. "ლელოს" კითხვებს კლუბის პრეზიდენტი გურამ რუხაძე პასუხობს.

- როცა შარშან ჩამოგართვით ინტერვიუ, გვითხარით, რომ თქვენი კლუბი უკვე რენტაბელური გახდა. წლეულს "ვიტ ჯორჯიამ" მხოლოდ ერთი ფეხბურთელი გაასხვისა - ნიკა გელაშვილის სატრანსფერო უფლება გაყიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ კლუბის რენტაბელურობა საამსეზონოდ შეუძლებელი იქნება?

- ასე არ ვიტყოდი. ჩვენ იმ გზით მივდივართ, რომ კლუბის ბიუჯეტში გარღვევა არ გვქონდეს. გელაშვილის გარდა ზამთარში კიდევ ორი ტრანსფერია მოსალოდნელი. ჩვენი კლუბის მიმართ ძალიან დიდ ინტერესი გაუჩნდა ამერიკულ კომპანია Hill's-ს. თბილისში ჩამოსული იყო ბლეიქ ჰაული, ვინც ამ კომპანიის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. მასთან საქმიანი შეხვედრა მქონდა და უკვე გადაწყვეტის ეტაპზეა ის, რომ Hill's ჩვენი გუნდის Shirtsponsor გახდეს, ანუ "ვიტ ჯორჯიის" მაისურზე Hill's დაეწეროს. სერიოზულ თანხებზეა საუბარი. ეს ფირმა შინაურ ცხოველთა საკვების მწარმოებელი უმსხვილესი კომპანიაა, რომელიც Colgate-ში შედის. ის უკვე არის ჩვენი ბიზნესპარტნიორი - მასთან თანამშრომლობით კავკასიაში ვეტერინარული კლინიკების და ზოომაღაზიების ქსელი შევქმენით. Hill's კმაყოფილია რეგიონში ბაზრის ასეთი ათვისებით და უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება იმაზე, რომ ყაზახეთის ბაზრის ასათვისებლადაც ჩვენთან ითანამშრომლოს.

- როდის გადაწყდება, გახდება თუ არა Hill's "ვიტ ჯორჯიის" სპონსორი?

- სექტემბერში. "ვიტ ჯორჯიისთვის" სხვა შემოსავლების მოძიებისთვისაც ვმუშაობთ. ჩვენი ამოცანაა, რომ შემოსავალმა დაფაროს კლუბის ხარჯები, თორემ ფეხბურთიდან მოგებას ჯერ არ ველით.

- მხოლოდ ჩემპიონობა და თასი, სხვა შედეგი წარუმატებლად ჩაითვლება - როდის დააყენებს კლუბის პრეზიდენტი ასე საკითხს?

- ჩვენ სწორედ ამისკენ მივდივართ. თუ გვექნება იმხელა შემოსავალი, რომ ფეხბურთელები აღარ გავასხვისოთ, ასეთი მიზნის დასახვა რეალური იქნება. წლეულს "ვიტ ჯორჯიიდან" მხოლოდ ორი ფეხბურთელი წავიდა - თენგიზ კობიაშვილი და ოლეგ გველესიანი. მათ მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით კლუბის წინაშე, მაგრამ ჩვენ ახლა მომავლის გუნდს ვაშენებთ და მათი გუნდიდან წასვლა ლოგიკური იყო. ჩემპიონობა და თასი, შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა - ეს არის ჩვენი საბოლოო მიზანი და ალბათ ამისკენ მისწრაფვის საქართველოს ყველა მოწინავე კლუბი.

- მაისში გამართულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სკანდალურ არჩევნებში "ვიტ ჯორჯია" მხარს გიორგი ნემსაძეს უჭერდა. ყველაფერი იქიდან გამომდინარე რაც მოხდა, არ ნანობთ თქვენს ასეთ არჩევანს?

- არა, მხოლოდ იმას ვნანობ, რომ დავმარცხდით, ორმაგად საწყენია, რომ ეს ჩვეულებრივი მარცხი არ იყო.

- და რა კომენტარს გაუკეთებდით იმას, რაც იმ არჩევნებზე მოხდა?

- რაც მოხდა, მოხდა, ეს უკვე ჩავლილი ამბავია.

- "ვიტ ჯორჯიის" პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობაშიც ჰყავს წარმომადგენელი. პროფლიგამ უმაღლესი ლიგიდან "ჩიხურა" და "ტორპედო" მოკვეთა სათანადო ფინანსური გარანტიების არქონის გამო. როგორ ფიქრობთ, ყველა დანარჩენ გუნდს აქვს მყარი ფინანსური ზურგი? რამდენად სერიოზულია ის გარანტიები, რასაც პროფლიგა ითხოვს უმაღლესი ლიგის კლუბებისგან?

- ბიზნესში მხოლოდ ერთი ფინანსური გარანტია არსებობს - მაღალი რეპუტაციის, პირველი კლასის ბანკების გარანტია. რაიონის გამგებლის საგარანტიო წერილი კი ფაქტობრივად არაფერს ნიშნავს, მაგრამ პროფლიგის ძალიან კარგად მესმის. უმაღლესი ლიგის კლუბს რაღაც მაინც უნდა ეჭიროს ხელში, რომ ის კრიტერიუმად გამოდგეს. ხოლო თუ საბანკო გარანტიებზე მიდგება საქმე, შესაძლოა, უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ექვსმა გუნდმა მოიყაროს თავი.

- ადრე გვითხარით, ქართულ ფეხბურთში კორუფციის დონემ იკლოო, თუმცა არა და არ წყდება იმაზე საუბარი, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მაინც ვერ აღმოიფხვრა გარიგებული მატჩები. ჯერ არ ყოფილა ქართულ ფეხბურთში იმის პრეცედენტი, რომ მწვრთნელს, ფეხბურთელს, მსაჯს თუ ჩინოვნიკს ღიად და ოფიციალურად ეთქვას კორუფციული გარიგების შესახებ. როგორ ფიქრობთ, რა უშლის ხელს ასეთი პრეცედენტის შექმნას?

- ხელმძღვანელი ორგანოების დიდი სურვილისა და მონდომების არარსებობა, გამოააშკარავონ ასეთი ფაქტები.

- წინა სეზონში საქართველოს ჩემპიონი რუსთავის "ოლიმპი" გახდა, ახლადშექმნილი კლუბი, რომელმაც სეზონში სამი მწვრთნელი გამოიცვალა და რომლის ფეხბურთელებს სეზონისწინა და საშუასეზონო შეკრებები არ ჰქონიათ. ასეთმა გუნდმა უკან მოიტოვა "დინამო", "ამერი", "ზესტაფონი", "ვიტ ჯორჯია", კლუბები, რომელთაც ინფრასტრუქტურული და გარკვეული კონცეპტუალური ბაზაც გააჩნიათ. რა მოხდა, როგორ აჯობა "ოლიმპმა" ასეთ გუნდებს?

- ჩვენ ხვალინდელ დღეზე ვფიქრობთ და არ გვქონია ისეთი გეგმა, რომ აუცილებლად წინა სეზონში გავმხდარიყავით ჩემპიონი, თორემ გვქონდა და გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ყველა რესურსი ერთ წელიწადში დავხარჯოთ და ჩემპიონობა მოვიპოვოთ. ჩვენ კლუბს ათი წელი უსრულდება და ყოველ წელიწადს აქვს გარკვეული წინსვლა. 2004 წელს ჩემპიონი გავხდით, მერე ეს მიღწევა ვერ გავიმეორეთ, მაგრამ კლუბი მაინც წინ მიიწევს. "ოლიმპში" კი ყველაფერი, ასე ვთქვათ, ერთ წელიწადში ჩაიდო და დამსახურებულად გახდა ჩემპიონი. ვნახოთ, ამ სეზონში ჩემპიონობის რა შანსი ექნება "ოლიმპს" და ეს იქნება კიდევ ერთი პასუხი თქვენს კითხვაზე.

- 2008-09 წლების სეზონისთვის უკვე ყოველი უმაღლესლიგელისთვის აუცილებელი იქნება საკლუბო ლიცენზია, რაც შესაბამისი დონის სტადიონსაც მოითხოვს, ასეთი კი "ვიტ ჯორჯიას" ჯერ არ გააჩნია. სახელმწიფო რამდენიმე ქალაქში ევროსტანდარტის სტადიონის აშენებას აპირებს, თუმცა მცხეთა, სადაც "ვიტ ჯორჯია" თამაშობს, ამ ქალაქების სიაში არ შედის. რას აპირებთ?

- მცხეთის სტადიონი, სადაც "ვიტ ჯორჯია" საშინაო მატჩებს თამაშობს, ჩვენი არ არის, კომპანია "მცხეთა ჰოლდინგს" ეკუთვნის. სტადიონის ასაშენებლად ტექნიკური კრედიტის აღებას ვაპირებთ, ეს საკითხი გაისად გაზაფხულზე გადაწყდება თუ სტადიონის აშენება 2008-09 წლების სეზონისთვის ვერ მოესწრება, "ვიტ ჯორჯიას" ამით მაინც არაფერი დაუშავდება - ისეთ სტადიონს დავიქირავებთ, ლიცენზირების მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებდეს.

დავით თავართქილაძე

უჩა უგულავა და გია ნაცვლიშვილი

პრესკონფერენცია

ახალი კახეთი შორსმიმავალი გეგმებით

ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ გამართული პრესკონფერენცია კახეთის რეგიონში ფეხბურთის განვითარების თემას მიეძღვნა. ამ საკითხზე კახეთის გუბერნატორმა **გია ნაცვლიშვილმა და** სფფ-ის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** ისაუბრეს.

ნაცვლიშვილმა ოფიციალურად დაადასტურა რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ხმები თელავის "კახეთის" გაძლიერების შესახებ. კლუბს ამიერიდან კახეთის "კახეთი" ერქმევა და საშინაო მატჩებს რეგიონის სხვადასხვა ქალაქში გამართავს. ამის თაობაზე უკვე მიღწეულია შეთანხმება პროფესიულ ფეხბურთის ლიგასთან. ნაცვლიშვილი იმედოვნებს, რომ ეს ნაბიჯი კახეთში ფეხბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. გადაწყვეტილია, რომ ახალ სეზონში კლუბი პირველი ლიგის აღმოსავლეთ ზონაში იასპარეზებს.

ახალი "კახეთი" კერძო საკუთრება არ იქნება, მის დაფინანსებაში კახეთის რვავე რაიონი მიიღებს მონაწილეობას. გუნდი ძირითადად ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტდება, შერჩევა მთელ რეგიონში მოხდება, მთავარ მწვრთნელად კი გამოცდილი **გიგლა იმნაძე** მიიწვიეს.

"კახეთის" პარტნიორი ცნობილი ფრანგული კლუბი "ოსერი" იქნება. ნაცვლიშვილი საფრანგეთში სტუმრობისას თვით სახელგანთქმულ **გი რუს** შეხვედრია. კახეთის გუბერნატორი დარწმუნებულია, რომ ფრანგებთან თანამშრომლობა და საერთოდ, კლუბის წელგამართული არსებობაც სტაბილურად გაგრძელდება.

უჩა უგულავამ კი კახელებს თანადგომა აღუთქვა. მომავალ წელს სახელმწიფოსა და ფედერაციის ერთობლივი პროგრამა, რომელიც სტადიონების რეაბილიტაციას ითვალისწინებს, თელავის სტადიონსაც შეეხება. ამას გარდა რეგიონში კიდევ იქნება ერთი კარგი სტადიონი, სადაც უმაღლესი ლიგის თამაშების ჩატარება იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება თელავის "კახეთის" ფეხბურთელებს, ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა კლუბში წავიდა, ზოგიც ადგილზე დარჩა. ასე მაგალითად **ვეფხია ტარუაშვილი** კვლავაც "კახეთში" იქნება, აი, მწვრთნელმა **ვასილ არუდაშვილმა** კი დატოვა კლუბი.

კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელის, **გოჩა როსტომაშვილის** თქმით სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები შეიქმნება, რაც საბოლოო ჯამში არა მარტო კახურ, არამედ მთლიანად ქართულ ფეხბურთს წაადგება.

სადღეისოდ "კახეთში" ძირითადად თელაველები არიან, მხოლოდ ერთია ახმეტელი და ერთიც საგარეჯოელი. ერთ გურჯაანელს ამ დღეებში ელოდებიან, სხვათა მოძიებას კი მწვრთნელი ხვალიდან დაიწყებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ტორპედო პირველ ლიგაშია!

დღეს, 12 საათზე, პროფესიული ფეხბურთის ლიგაში პირველლიგელთა შეკრება გაიმართება. დღესვე გაირკვევა ყველა იმ გუნდის ვინაობა, რომლებიც პირველ ლიგაში იასპარეზებენ, მოეწყობა კალენდრის წილისყრაც.

"ტორპედოს" ხელმძღვანელობამ იმდენი მაინც შეძლო, რომ კლუბმა პირველ ლიგაში სათამაშოდ აუცილებელი მოთხოვნები დააკმაყოფილა, ასე რომ, დღეს ქუთაისურ გუნდს ოფიციალურად დართავენ ასპარეზობის უფლებას. პფლ-ში "ტორპედოს" გუნდის უფროსი **პაპუნა მელაძე** წარმოადგენს.

რაც შეეხება თასის გათამაშებას, ჯერ არ გარკვეულა, ჩაატარებენ თუ არა ქუთათურები მეთექვსმეტედფინალურ მატჩებს ფოთის "კოლხეთთან". შეგახსენებთ, პირველი შეხვედრა უკვე გადადებულია. არაა გამორიცხული, "ტორპედომ" სათასო შეხვედრებზე უარი თქვას და კოლხეთი დავით ყიფიანის სახელობის თასის ჯგუფურ ტურნირზე ავტომატურად დაუშვან.

ეროვნული ნაკრების ფანკლუბის განცხადება

25 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ეროვნული ნაკრების ფანკლუბისა და ეროვნული სტადიონის დირექციის ინიციატივით 12 წლამდე ბავშვთა შორის street soccer-ის ტურნირი გაიმართება. თამაშები ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილ მოედანზე ჩატარდება. მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები ელექტრონული ფოსტის მისამართზე fanclub@fanclub.ge გამოგვიგზავნეთ ან დაგვირეკეთ 542 542, 877766770, 893317772. განაცხადები 23 აგვისტომდე მიიღება.

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

ვინც მჭირდებოდა, ყველას ვუხმე!

ტოპმიოლერს ყველაზე მეტად ასათიანის დაბრუნება ახარებს...

ასათიანის დაბრუნებამ ტოპი უზომოდ გაახარა

პირველი გვერდიდან

- ელიავა ტრავმირებული იყო. როგორც ჩანს, თქვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს...

- გამოჯანმრთელდა და სრულ მზადყოფნაშია.

- ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ვასილ გიგიაძეც გამოიძახეთ. არადა, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, რომ ეს ფეხბურთელი აღარ გჭირდებოდათ...

- მე არასდროს მითქვამს, რომ გიგიაძე არ მჭირდება. ნაკრების გაფართოებულ სიაში ვასილს თავისი ადგილი აქვს. მას მერე, რაც შოთა არველაძემ სანაკრებო კარიერა დაასრულა, თავდასხმაში პრობლემა გვაქვს. ამ პრობლების გადაჭრის ყველა გზა უნდა შემოწმდეს. გიგიაძეს ლუქსემბურგშიც მიეცემა შანსი და სავარაუდოდ აზერბაიჯანთანაც. მას კარგად დავაკვირდები.

- ნაკრებს დაუბრუნდა ალეკო ამისულაშვილიც, რომელიც პირველად და უკანასკნელად, 2006 წლის შემოდგომაზე, გერმანულ შეკრებაზე გყავდათ გამოძახებული...

- დიახ, ამისულაშვილმა მაშინაც ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა და გაფართოებულ სიაში მოხვდა. ალეკოს პროგრესი აშკარაა - ბოლო დროს ნალჩიკის "სპარტაკის" შეუცვლელი ფიგურაა, ძალიან კარგად თამაშობს და ხშირად სიმბოლურ ნაკრებშიც ხვდება. რაკი სათამაშო პრაქტიკა აქვს და კარგ ფორმაშია, რასაკვირველია, მაშინვე ნაკრებში ვუხმე. ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ გუნდში კონკურენცია მჭირდება. არავინ უნდა იფიქროს, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს. შანსი ყველას მიეცემა.

- თქვენ აღნიშნეთ, რომ არველაძის წასვლის შემდეგ, თავდასხმაში პრობლემებია. სანდრო იაშვილს კი ისევ არ უხმეთ. რას ელოდებით?

- სანდრო "თუნში" გადავიდა და შესანიშნავი შანსი აქვს, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს. შვეიცარიის ჩემპიონატი ის ტურნირია, სადაც მოთამაშე უნდა გაიზარდოს და მაღალი დონის ფეხბურთელად ჩამოყალიბდეს. "თუნის" ხელმძღვანელებსაც ვესაუბრე და მწვრთნელსაც - სანდროზე დიდ იმედებს ამყარებენ, რაც ძალიან სასიხარულოა. გუნდს ნელ-ნელა უშინაურდება. ბოლო დროს უფრო და უფრო ხშირად ათამაშებენ. გასულ უქმეებზე 73-ე წუთზე შეიყვანეს, წუხელ (სამშაბათს) კი უკვე 65-ე წუთზე შეუშვეს. მწვრთნელმა მითხრა, რომ ჯერ კიდევ აქვს წონის პრობლემა. როგორც კი ეს საკითხი დარეგულირდება და ფორმაში შევა, გამოვიძახებ. შესაძლოა, ეს აზერბაიჯანთან ამხანაგურ მატჩში მოხდეს. სანდროც ერთ-ერთი იმათაგანია, ვისაც არველაძის შეცვლა შეუძლია.

- კარლცაისელ ქართველებზე რას გვეტყვით?

- ონიანი, სეთურიძე და კანდელაკი ჩვენი გუნდის გაფართოებულ სიაში არიან. მიხარია, რომ იენურ კლუბში ჩარიცხნენ. იმედი მაქვს, ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაიმკვიდრებენ. ილია ახლა ტრავმირებულია და მას მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ.

- ახლა უფრო წინ გავიხედოთ - როგორია იმის შანსი, რომ კონტრაქტი გააგრძელოთ?

- ამაზე საუბარი ჯერ მაინც ადრეა. დავსხდებით და დავილაპარაკებთ. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოში მუშაობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ამ მხრივ, ცხადია, არაფერი შეცვლილა.

- ფედერაციის პრეზიდენტის მხარდაჭერას გრძნობთ?

- 100 პროცენტით.

- ნოდარ ახალკაცი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრია. რას ნიშნავს ეს ქართული ფეხბურთისთვის?

- ეს იმას ნიშნავს, რომ ნოდარს ფიფასა და უეფაში დიდ პატივს სცემენ და ენდობიან. მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა შემთხვევითი ამბავი არ არის. თანაც, დააკვირდით, ევროპიდან, ამ კომიტეტში მხოლოდ ორი ფედერაციის წევრია: ერთი გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი თეო ცვანციგერი გახლავთ, მეორე კი ახალკაცი.

- და იქნებ ჩვენც გაგვიღიმოს ბედმა...

- ამისათვის, პირველ რიგში, ორი რამ არის მთავარი: იღბალი წილისყრაისას და ის, რომ წამყვანი ფეხბურთელები ჯანმრთელად იყვნენ.

- არველაძემ ერთი საშინაო მატჩისთვის გამოძახება ითხოვა, რომელსაც მისი გამოსათხოვარი თამაშის სახე ექნება. თუ მისცემთ მას ამის საშუალებას და რომელ შეხვედრაში მოხდება ეს?

- როგორ ფიქრობთ, შოთას ამაზე უარს ვეტყვი? რა თქმა უნდა, არა! ხოლო, თუ რომელ შეხვედრაში მოხდება ეს, ჯერ კიდევ გასარკვევია. ვნახოთ, რა და როგორ იქნება, ყველაფერი ერთმანეთს უნდა დაემთხვეს. ფაქტი ის გახლავთ, რომ შოთამ გამოსამშვიდობებელი მატჩი დაიმსახურა.

- პარასკევს ბუნდესლიგა იწყება - როგორ აფასებთ ლევან კობიაშვილის "შალკესა" და ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუეს" შანსებს?

- პირველ რიგში, ის მახარებს, რომ ბუნდესლიგაში ორი ქართველი ითამაშებს. წინა კვირა კობის გუნდთან ერთად გავატარე - "შალკეს" ფეხბურთელები, როგორც ყოველთვის, ძალიან მონდომებულები არიან. მაგრამ ამ "ბაიერნთან" ბრძოლა, თუ ისევ რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევას არ ჰქონდა ადგილი, წესით, ყველას უნდა გაუჭირდეს. ვისურვებდი, რომ კობიაშვილი გერმანიის ჩემპიონი გახდეს. "კარლსრუე" კი ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს. მე ის მიხარია, რომ ბადენელთა მთავარი მწვრთნელი ედე ბეკერი იაშკაზე დიდ იმედებს ამყარებს.

- დაბოლოს, როგორ დაისვენეთ, სად გაატარეთ შვებულება?

- ოჯახთან ერთად, რამდენიმე დღით ბარსელონაში გახლდით - ეს იყო და ეს. ულამაზესი ქალაქია. შეუძლებელია, რომ ადამიანმა ამ ქალაქში თავი კარგად არ იგრძნოს. ახლა მოსამზადებელი შეკრებისთვის და მომავალი მატჩებისთვის ვემზადები. წინ დიდი ბრძოლები გველის.

გოტფრიდ ლენცი

ცქიტიშვილი (7) ტოპმიოლერისთვის შეუცვლელია

ჰაინცის იმერული ვოიაჟი

გუშინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცი **ჰაინც ტოპმიოლერი** ასისტენტებითურთ იმერეთს სტუმრობდა, კერძოდ კი ქუთაისს, სადაც ცენტრალურ არენაზე 19-წლამდელთა ოთხი ნაკრების (1989-90 წლებში დაბადებულთა) საჩვენებელი მატჩი გაიმართა. თავდაპირველად "ტორპედოს" არენაზე ერთმანეთს იმერეთისა და აჭარის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. პირველ ტაიმში იმერლები დომინირებდნენ და ანგარიშიც გახსნეს. ბურთი **დანელიამ** გაიტანა, მეორეში უკვე აჭარლები ფლობდნენ უპირატესობას, თუმცა გატანა ვერ შეძლეს და შეხვედრა ერთი ბურთის სხვაობით დათმეს. მეორე მატჩში იმერეთი-გურიის რეგიონთა ნაკრები - სამეგრელოს რეგიონის გუნდს შეხვდა. შეხვედრის პირველ ნახევარში უკეთ მეგრელები გამოიყურებოდნენ, ზუგდიდის "მგლების" ხობის "კოლხეთისა" და ფოთის საფეხბურთო სკოლების აღზრდილებმა თამაში მშვენივრად წარმართეს თუმცა გოლის გატანა ვერ შეძლეს. შესვენებაზე ტოპმიოლერმა ორივე გუნდის მწვრთნელებს გარკვეული მითითებები მისცა, რაც იმერლებმა უკეთ გამოიყენეს და უპირატესობაც მოიპოვეს, თუმცა მათაც ვერ შეძლეს გატანა და საბოლოოდ ახალგაზრდული ჟინით აღსავსე საბრძოლო ფრე დაფიქსირდა. მატჩების დამთავრებისთანავე "ლელო" ჰაინც ტოპმიოლერს გაესაუბრა. *"19-წლამდელთა ძირითადი ბირთვი გამოკვეთილია, მაგრამ ამის გარდა არ მინდა ვინმე დამრჩეს უყურადღებოდ და სწორედ მათ ნახვას ემსახურებოდა დღევანდელი მატჩები. მინდა ყველა პერსპექტიული და საინტერესო ფეხბურთელი ჩემი თვალით ვნახო. ჩავინიშნე რამდენიმე საინტერესო მოთამაშე და მათ რამდენიმე დღეში გამოვიძახებ. ხვალ გორში გაიმართება ანალოგიური მატჩები, შაბათს თელავი გვიმასპინძლებს და აღმოსავლეთისა და ქვემო ქართლის ჭაბუკებს ვნახავთ, კვირას კი თბილისში ჩვენ მიერ ჩანიშნულთა და ნაკრებში გამოსაძახებელთა ტესტმატჩი გაიმართება. აქ წარმოჩენილებს დავუძახებთ ნაკრებში და აზერბაიჯანთან ჩავატარებთ ორ შეხვედრას 15-17 აგვისტოს. გვინდა, თბილისში გასამართ ევროპის საკვალიფიკაციო ეტაპს მაქსიმალურად მომზადებულები შევხვდეთ"*, - გვითხრა მწვრთნელმა.



ჰაინც ტოპმიოლერი

მერაბ გრძელიძე
ქუთაისიდან

სანდრო იაშვილი (შუაში)

თუნი ისევ უგოლოდ

ძალიან ცუდად დაიწყო ასპარეზობა შვეიცარიული სუპერლიგის ახალ სეზონში **ალექსანდრე იაშვილის** "თუნმა", ოთხი ტურის შემდეგ 4 ქულით კლუბი ათგუნდიან ჩემპიონატში მერვეა. პირველი ტურის გადადებულ მატჩში "თუნი" შინ "სიონთან" 0:1 დამარცხდა. ჯერჯერობით ვერც სანდრო ყოჩაღობს, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი მხოლოდ შეცვლებზე შემოდის მოედანზე. ქართველი ფორვარდის პირველ გოლს შვეიცარიაში ჯერ კიდევ ველით. "სიონთან" მატჩის 65-ე წუთზე იაშვილმა **არნო ბუჰლერი** შეცვალა, მაგრამ ქართველმა ფორვარდმა მისთვის გამოყოფილ 25 წუთში 5 300 ფანი ვერაფრით გაახარა. "სიონმა" 50-ე წუთზე **ალვარო დომინგესის** მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო. "თუნი" ერთი გამოკვეთილი ფორვარდით **ფაიეთი** თამაშობს. სასტარტოში კი ქართველის ადგილი აღარ რჩება. შვეიცარიული საიტი "ისპეისი" წერს: *"მას შემდეგ, რაც 65-ე წუთზე ომარ ფაიეს სანდრო იაშვილი შეუწყვილდა მასპინძელთა შეტევა უფრო საინტერესო გახდა, თუმცა რეალური საგოლე მომენტი ვერც ამ დუეტმა შექმნა"*.

ნიკოლოზ ნეფარიძე

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ჯაბა კანკავა (22) რიბერის წინააღმდეგ

ინტერვიუ ჯაბა კანკავასთან

უკვე ყველაფერი დამთავრდა

...ამიტომ ვამჯობინე მიუნხენ 1860-ს დნეპრი

ჯაბა კანკავა და "დნეპრი" წლეულს უკრაინის ჩემპიონობას უმიზნებენ. მეოთხე ტურში ანატოლი დემიანენკოსა და კიევის "დინამოს" ძირი გამოუთხარეს, გასვლაზე 3:1 დაამარცხეს, რასაც კინაღამ დემიანენკოს გადადგომა მოყვა. ჩემპიონატის ლიდერში ერთ-ერთი გამორჩეული საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ჯაბა კანკავაა...

- ჯაბა, გასული სეზონი არაერთმნიშვნელოვანი აღმოჩნდა. პირველი წრე მშვენივრად ჩაატარე და საშემოდგომო ეტაპის სიმბოლურ ნაკრებშიც დაგასახელეს, მეორე ნახევარში კი გადახვედი "დნეპრში" და თითქოს, ადაპტაციის პერიოდი დღემდე ვერ დაამთავრე.

- რა თქმა უნდა, გუნდთან შეჩვევას დრო სჭირდება. "დნეპრი" "არსენალზე" გაცილებით ძლიერი და კლუბია, გაცილებით დიდი ტრადიციები გააჩნია და დღეისათვის უფრო მაღალი კლასის მოთამაშეებიც ჰყავს. თავიდან გამიჭირდა და ეს დასამალი არაა. თავდაპირველად ორი წითელი ბარათი მივიღე და ამან ჩემზე ცუდად იმოქმედა.

- წითელი ბარათი... მძიმე მოგონებაა.

- (იცინის) ოო, მძიმეზე მეტია, საშინელი მოგონებაა. ერთხელ ვიჩხუბე და მართლა გასაგდები ვიყავი. მეორედ კი სათამაშო ვითარებაში მომცეს ბარათი.

- ცხოვრებაში მშვიდს მოედანზე რა გემართება?

- ერთი, გამახსენეთ საყრდენი ნახევარმცველი, რომელსაც წითელი არ მიუღია...

- რომელიც ერთ თვეში ორ წითელს იღებს?

- საყრდენისთვის სიხისტეც დამახასიათებელი უნდა იყოს. სხვანაირი მე არ მეგულება.

- იქნებ, ასაკის გამო, ზედმეტად ემოციური ხარ?

- შეიძლება, ემოციური ვარ, მაგრამ გამოუცდელი ნაღდად არ მეთქმის. შესაძლოა, ორი წითლის შემდეგ მსაჯების "შავ სიაშიც" მოვხვდი და ჩემი სიხისტეც უხეშობად ეჩვენებათ. ასეც ხდება, ფიქრობენ, ეს უხეშობა შემთხვევით არ მოსვლიაო. უკრაინაში ორი მსაჯი ვიცი, ჩასაფრებულები არიან და ერთი სული აქვთ, მოედნიდან გამაგდონ.

- უკრაინის წინა წლის 30 მოვლენაში შენ მიერ "შახტიორის" კარში 35 მეტრიდან გატანილი გოლიც შეიტანეს. ახლა კიევის "დინამოს" დამარცხებაში შეიტანე წვლილი. გრანდებს გაუშინაურდი...

- მთავარია, გუნდი როგორ თამაშობს. "არსენალი" მაღალი დონის გუნდი არ იყო, მაგრამ ბრძოლისუნარიანობას შემაჩვია. "დნეპრი" კი სოლიდური გუნდია და ყველა მეტოქესთან მოსაგებად ვთამაშობთ.

- დღეს ძალიან აქტუალურია თემა - სად თამაშობენ ნაკრების მოთამაშეები. ტოპმიოლერმა აღმოსავლეთ ევროპაში მოთამაშეებს ტაქტიკური განათლება დაუწუნა, ევროპელი ქართველები უფრო განსწავლულები არიანო. იმიტომ გეკითხები, რომ ვიცი, "დნეპრთან" ერთად, "მიუნხენ 1860" გიწვევდა. დასავლეთ ევროპას აღმოსავლეთი რატომ ამჯობინე?

- "დნეპრში" ყველა კარგად მიცნობდა და ძირითადში თამაშის მეტი შანსი მქონდა. ნდობასთან ერთად, გერმანელებზე უკეთესი პირობები შემომთავაზეს. "მიუნხენში" კი ასეთი ნდობა და პირობები არ მექნებოდა. შემადგენლობაშიც ეგრევე არავინ დამაყენებდა, ნულიდან უნდა დამეწყო საქმე და გამიჭირდებოდა. ამიტომ "დნეპრი" ვამჯობინე. ისე, ჩემი კლუბიც არაა უსახელო, არაფერი აქვს დასაწუნი.

- ისე მეორე ფაქტორიცაა - მოთამაშისთვის მიუნხენის "ალიანსარენაზე" თამაში ბევრად უფრო პრესტიჟულია, ვიდრე დნეპროპეტროვსკის "მეტეორზე".

- მე საწინააღმდეგოს არც ვამტკიცებ, გერმანიას უკრაინა არ ჯობია. უბრალოდ, ჩემს შემთხვევაში "დნეპრი" სჯობდა და გადასვლას არც ვნანობ.

- რა დასამალია, ბოლო შესარჩევ ციკლში გატანილ ოთხ ბურთს შენს შეცდომებს მიაწერენ: უკრაინაში პირველსა და მესამეს, იტალიასთან პირველს, დი ნატალეს გატანილსა და ფრანგებთან მეორე თამაშში ნასრის გოლს. ტოპმიოლერი კონკრეტულ დავალებას არ გაძლევს თუ ზოგჯერ თამაშის დროს მობილიზაციას კარგავ?

- საიდან დავიწყო? შევჩენკოს გოლი მე არ მეხება, მისი აყვანა არ მევალებოდა და ეს არ იყო ჩემი შეცდომა. მესამე გოლი კი ნაღდად ჩემი ბრალი იყო, ამას ვაღიარებ.

- რუსოლი თავით რომ იტანდა, მისგან ზურგით იდექი. ხელი გკრა თუ რა მოგივიდა?

- წამის მეათედებზეა ყველაფერი დამოკიდებული. ეს წამი დავკარგე. იტალიასთან გაშვებულ პირველ გოლს რაც შეეხება, არ მგონია, ჩემი ბრალი ყოფილიყო.

- დი ნატალეს წინ შენ იდექი...

- მან ძალიან შორიდან დაარტყა.

- ამ კითხვებზე პასუხებით უფრო ტოპმიოლერის მუშაობაზე გვსურს წარმოდგენა შევიქმნათ. ის მხოლოდ ზონებს გაბარებთ, თუ მოთამაშე რომელიმე მეტოქეზე პერსონალურ პასუხისმგებლობასაც იღებს. თორემ შენ დააქციე ნაკრები-მეთქი, ეს არ მითქვამს.

- სტანდარტულის დროს შენი კაცი რომ გაიტანს, გამოდის, სერიოზული შეცდომა დაუშვი. შეცდომა კი მხოლოდ უკრაინის მესამე და საფრანგეთში ნასრის გოლზე დავუშვი. ტოპმიოლერი კი ზონებსაც გვაბარებს და კონკრეტული მეტოქის მეთვალყურეობასაც.

- სტანდარტულები საქართველოს ნაკრების სისუსტეებს აშიშვლებს. დაზღვევაზე თამაში, ზონების და მეტოქეების ჩაკეტვა დაბალ დონეზეა.

- ფეხბურთში გუნდიც და მოთამაშეც შეცდომებით სწავლობს და ჩვენც დავიხვეწებით.

- უკრაინაში "ქართულ ქვემეხს" გიწოდებენ საქართველოს ნაკრებში კი კარში იშვიათად არტყამ. აშკარაა, მწვრთნელი მხოლოდ დაცვით ფუნქციას გაკისრებს.

- დიახ, ნაკრებსა და კლუბში სხვადასხვა პოზიციაზე ვთამაშობ, დავალებაც სხვაა. "დნეპრში" სამი საყრდენი ვართ, უკანა საყრდენს დაცვითი ფუნქციები ევალება, მე კი შეტევების ორგანიზებაც მევალება. ნაკრებში ტოპმიოლერი უფრო დაცვით ფუნქციებს მაკისრებს და შეტევებისთვის ნაკლები დრო მრჩება.

- ყველა საუბრობს ნაკრების პერსპექტივაზე, მომავალზე, მაგრამ არის კი რაიმე დამაიმედებელი?

- რატომაც არ არის? ამ ციკლში ყველაფერი გარკვეულია, გასვლის შანსი დავკარგეთ, მაგრამ უიმედოდ არ უნდა ვიყოთ. გუნდს შეთამაშება არ აკლია. სხვებზე არანაკლები შეკრებები და თამაშები გვაქვს, მაგრამ ახლანდელი წარუმატებლობების მიზეზის დასახელება მიჭირს. გულშემატკივარი ყოველთვის და ყველგან უკმაყოფილოა, მაგრამ ჩვენთან მართალია.

ისე, მოთამაშეთა ხშირი ტრავმიანობაც ხელს გვიშლიდა. მგონი, საუკეთესო შემადგენლობით ერთხელაც არ გვითამაშია. ხან ვინ გვაკლდა, ხან - ვინ. ძირითადად ის ხალხი, ვინც წამყვანი ძალაა და ბურთის დაჭერა იცის. ნახევარდაცვაშიც, ძირითადად, ჩამშლელები ვრჩებოდით და ეს დიდი პრობლემა იყო. საფრანგეთთან მეორე თამაშის წინ საერთოდ კატასტროფული ვითარება შეიქმნა. რომელ წარმატებაზეა საუბარი, როცა გუნდის ნახევარი ლაზარეთში იყო? ამ ჯგუფში კიდევ ტრავმიანობა გვინდოდა?

- მას შემდეგ, რაც უკრაინამ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა მოიპოვა, რამდენიმე გუნდით ცნობილ ბიზნესმენები დაინტერესდნენ. "დნეპრსაც" ახალი დამფინანსებელი გამოუჩნდა.

- "დნეპრს" ფული ისედაც ჰქონდა და ახლა კიდევ მოვლონიერდით.

- ყველაზე მნიშვნელოვანი რა შეიძინე უკრაინაში?

- ფიზიკურად მოვლონიერდი და ტაქტიკურადაც მეტი შევიძინე. თუმცა გაცილებით მეტი შემიძლია. ოლეგ პროტასოვი უკრაინაში დამკვიდრებულ სტილს არ ცნობს და განსხვავებულს ამკვიდრებს, შემტევი ფეხბურთი უყვარს. რეჟიმის მოყვარული და საქმეზე გადაყოლილი მწვრთნელია. ვფიქრობ, მასთან მოვუმატებ. რომ არ აყვე, უბრალოდ, გუნდში ვერც ვითამაშებ.

- ვეტერან მოთამაშეებს წარსულზე წუწუნი სჩვევიათ, პროტასოვი წარსულს არ მისტირის?

- ნაღდად არაა ისეთი, წარსულს რომ მისტიროდეს. პროგრესული სპეციალისტია და ურთიერთობაში სასიამოვნოა. წარსულზე წუწუნი ქართველებისგან უფრო გამიგია.

- მეორე წითელი რომ მიიღე, მაშინ სასიამოვნო მოსაუბრე არ იქნებოდა. პრესკონფერენციაზე მაგრად გაგაკრიტიკა.

- სხვათა შორს, მაშინ ბევრს შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ურთიერთობა დაგვეძაბა. არადა, არ იყო ასე.

მერაბ მამულაშვილი

ქართველი მსაჯები ევროსარბიელზე

უახლოეს პერიოდში საერთაშორისო მატჩებს ორი ქართული ბრიგადა მოემსახურება. 16 აგვისტოს, უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბოსნიური "შიროკი ბრეგი" ებრაულ "ჰაპოელს" უმასპინძლებს. ამ შეხვედრის არბიტრი **ლევან ფანიაშვილი** იქნება, მას **მამუკა ელიკაშვილი** და **მამუკა ურუშაძე** დაეხმარებიან, მეოთხე მსაჯად კი **ალექსანდრე კრიჭაშვილია** დანიშნული.

7 სექტემბერს კი მეორე ქართული ოთხეული სლოვაკეთში იმუშავებს, სადაც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში ადგილობრივი ახალგაზრდული ნაკრები ისლანდიას დაუპირისპირდება. მთავარ მსაჯად უეფამ **გიორგი ვადაჭკორია** გაამწესა, ლაინსმენებად - **გურამ ჩიგოგიძე** და **ზაზა მენთეშაშვილი**, სარეზერვო არბიტრი კი **ლევან კვარაცხელია** იქნება.

ლევან ჭანეზაშვილი

თბილელი



სერგო კოტრიკაძე. დაიბადა 09.08.1936, ჩოხატაური. ფეხბურთი, მეკარე. თამაშობდა თბილისის "დინამოსა" (1955-68, 1970) და ქუთაისის "ტორპედოში" (1968-69). სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 260 მატჩი. სსრკ ჩემპიონი (1964) და სამგზის მესამე პრიზიორი (1959, 62, 67), სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი (1960). სსრკ წლის საუკეთესო მეკარე (1962). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი.

"ლელო" ვაჟიშვილის შეძენას ულოცავს საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ წევრს მურთაზ შელიას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

ცოლმა ფერგიუსონი სამსახურში არ გაუშვა

ორი ამხანაგური მატჩი მთავარი მწვრთნელის გარეშე, ტევესის რეგისტრაციის მოლოდინი და ნიგერიელი მეკარე ედვინის მემკვიდრედ...

გუშინ "მანჩესტერ იუნაიტედმა" ორი გასვლითი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. მისი მეტოქეები ჩრდილოირლანდიური "გლენტორანი" და შოტლანდიური "დანფერმლაინი" იყვნენ. **სერ ალექს ფერგიუსონი** არცერთ შეხვედრას არ დასწრებია. ის შინ დარჩა და მეუღლე **კეტის** სახლის საქმეებში მიეხმარა. ეს ქალბატონი ფერგიუსონის კატეგორიული მოთხოვნა იყო. "იუნაიტედის" ბოსმა ჟურნალისტებს ეს განუცხადა: *"კეტის ვუთხარი, მნიშვნელოვანი მატჩები მაქვს-თქო, მან კი მომიგო, რომ სახლის საქმეები უფრო მნიშვნელოვანი იყო და ჩემი მიხმარება სჭირდებოდა. სიმართლე გითხრათ, კეტიმ უხერხული არჩევანი ამაცილა თავიდან. ორივე კლუბთან განსაკუთრებული მოგონებები მაკავშირებს. მამაჩემი "გლენტორანში" თამაშობდა, მე კი კარიერის საუკეთესო წლები "დანფერმლაინში" გავატარე, სანამ "რეინჯერსში" გადავიდოდი."*

ფერგის საოჯახო საქმეების გამო "დანფერმლაინთან" "იუნაიტედს" სერ ალექსის ერთ-ერთი ასისტენტი **მაიკ ფელანი** გაუძღვა. "გლენტორანთან" კი - "მანჩესტერის" მეორე მწვრთნელი **კარლუშ კირუში**. ფელანს **უეინ რუნი, რაიან გიგზი** და **ოუენ ჰარგრივსი** ჰყავდა. წესით, მუხლის ტრავმისგან განკურნებული **პოლ სქოულზიც** ამ გუნდს უნდა გაჰყოლოდა. კეირუშის განკარგულებაში იყვნენ **რაფ ფერდინანდი** და **მაიკლ ქერიკი**, აგრეთვე ახალწვეულები - **ნანი** და **ანდერსონი**.

კარლოს ტევესს რეგისტრაცია ჯერ არ გაუვლია. ამიტომ მისი დებიუტი გადაიდო. ის კი არა, დარწმუნებით იმასაც ვერავინ გეტყვით, ითამაშებს თუ არა თავდამსხმელი პრემიერლიგის პირველ ტურში "რედინგის" წინააღმდეგ. კარლოსის აგენტმა **კია ჯურაბჩიანმა** ტრანსფერისთვის საჭირო 2 მილიონი გირვანქა "ვესტ ჰემს" გუშინ გადაურიცხა. გუშინვე ფეხბურთელის საბუთები პრემიერლიგაში გადაიგზავნა. საგანგებო კომისია სატრანსფერო დეტალების შესწავლას შეუდგა. დასკვნა და მასთან ერთად რეგისტრაციაც, დღეს ან ხვალ უნდა გაკეთდეს.

დასასრულს, კიდევ ერთი ინფორმაცია "ეშმაკების" შესახებ. სერ ალექსმა ახალგაზრდა მეკარის შეძენა გადაწყვიტა. "იუნაიტედის" კარის დარაჯი **ედვინ ვან დერ სარი** 36 წლისაა. მისი კონტრაქტი გაისად იწურება. კლუბი ხელშეკრულების გაგრძელებას არ ჩქარობს. ცნობისთვის, გასულ უქმეებზე ვან დერ სარმა "იუნაიტედს" პირადად მოაგებინა ინგლისის სუპერთასი. "ჩელსისთან" ძირითადი დროის ფრედ (1:1) დასრულების შემდეგ, პენალტების სერიაში მან სამი დარტყმა მოიგერია. ამ თამაშმა ცხადჰყო, რომ ჰოლანდიელი ვეტერანი საუცხოო ფორმაშია. მაგრამ მისი ასაკი იმას ნიშნავს, რომ "მენიუმ" ფეხბურთელის შემცვლელი უნდა ეძებოს. "ეშმაკებს" ერთი გოლკიპერი უკვე ჰყავთ - **ბენ ფოსტერი**. მან გასული სეზონი იჯარით "უოტფორდში" გაატარა. "უოტფორდი" პრემიერლიგას გამოეთხოვა. ფოსტერს კი საიჯარო კონტრაქტი ამოეწურა და მანჩესტერში დაბრუნდა. მიმომხილველთა ვარაუდით, მისი სახით ვან დერ სარს უკვე სერიოზული კონკურენტი ჰყავს. თუმცა "იუნაიტედს" კიდევ ერთი ახალგაზრდა კარის დარაჯი არ აწყენდა. ფერგის ყურადღება "ლანსის" ნიგერიელმა ლეგიონერმა **ჩარლზ იტანჯმა** მიიპყრო. 25 წლის იტანჯს "ასტონ ვილა", "ლიონი" და კიდევ რამდენიმე ესპანური კლუბი აკვირდება.

ბლანი და დელ პიერო იმედს არ კარგავენ

იუვენტუსი

დელ პიერო და იუვე ჩიხში

ალესანდრო დელ პიერო ბოლო "იუვენტინოა", რომელსაც ახალი კონტრაქტის საკითხი ჯერაც გასარკვევი აქვს. **ჯანლუიჯი ბუფონის, დავიდ ტრეზეგეს, პაველ ნედვედისა** და **მაურო კამორანეზის** შემდეგ, "ბებერი ქალბატონის" მესვეურები თითქოს მზად არიან, კაპიტნის პრობლემაც მოაგვარონ. პრობლემა კი მართლაც სახეზეა.

გუშინ გაიმართა შეხვედრა, რომელსაც "იუვეს" მხრიდან **ჟან-კლოდ ბლანი** (გენერალური მენეჯერი) და **ალესიო სეკო** (სპორტული დირექტორი), ხოლო მეორე მხრივ, თავად დელ პიერო და მისი ძმა (ნდობით აღჭურვილი პირი) **სტეფანო** ესწრებოდნენ. ალექსის სურვილია, მოქმედი კონტრაქტი, რომელსაც ყავლი 2008 წლის 30 ივნისს გასდის, კიდევ ორი წლით, 2010 წლის სეზონის ბოლომდე გააგრძელოს.

მაგრამ ტურინული გრანდის სიმბოლოსთვის შემხვედრი წინადადება შოკისმომგვრელი აღმოჩნდა: კონტრაქტი მხოლოდ 2009 წლის 30 ივნისამდე და თანაც, შეკვეცილი ხელფასით. ცხადია, ალექსი ამ "შეთავაზებას" ვერ დათანხმდებოდა. ამჟამად, ის წლიურად 5 მილიონ ევროს იღებს. დელ პიერო წავიდა დათმობაზე და დათანხმდა ანაზღაურების შემცირებას შარშანდელი სეზონის წინ, როცა სერია B-ში დაქვეითებულ "იუვენტუსს" ფინანსურად გაუჭირდა. მაგრამ ახლა, როცა "სინიორა" ელიტაში დაბრუნდა, "პინტურიკიო" (კაპიტნის მეტსახელი) ხელფასის შემცირებას ვერ დაყაბულდება.

ძნელი სათქმელია, რას ნიშნავს "იუვეს" ბოსების ამგვარი პოზიცია. დღესდღეობით, სიტუაცია ჩიხშია, მაგრამ როგორც ცნობილი გახდა, მხარეებმა დათქვეს კიდევ ერთი მოლაპარაკების დღე: 25 აგვისტოს, "ლივორნოსთან" სასტარტო მატჩის შემდეგ...

ალვარო რეკობა

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, **ალვარო რეკობა** "ინტერში" აღარ ითამაშებს. როგორც ჩანს, **რობერტო მანჩინის** ხელში მას მომავალი არ აქვს. "ნერაძურის" მწვრთნელი, სიტყვით, რეკობას ყოველთვის გუნდის განუყოფელ ნაწილად თვლიდა, საქმით კი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. მას მერე, რაც "ინტერმა" **დავიდ სუასო** იყიდა, ნათელი გახდა, რომ ურუგვაელის მილანური კარიერა დასრულებული იყო. ჰონდურასელი სუასოს გარდა, რომელმაც ამხანაგურ მატჩებში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა, მანჩინის კიდევ ოთხი ძლიერი ფორვარდი ჰყავს **ადრიანოს, ზლატან იბრაჰიმოვიჩის, ერნან კრესპოსა** და **ხულიო კრუსის** სახით. აქედანაც ჩანს, რომ რეკობა აშკარად ზედმეტია. მაგრამ მწვრთნელი ყოველთვის ანგარიშს უწევდა პრეზიდენტ **მასიმო მორატის**, რომელიც "ელ ჩინოს" შვილად მიიჩნევდა და ვერაფრით ელეოდა. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. რეკობას თამაში უნდა, "ინტერში" კი მსგავსი პერსპექტივა არ აქვს.

გუშინდელი ინფორმაციით, 31 წლის ურუგვაელის მომავალი თავშესაფარი იქნება "ტორინო", სადაც მას ყოფილი მწვრთნელი **ვალტერ ნოველინო** ელოდება. 1998/99 წლების სეზონში ნოველინო და რეკობა ერთად გახლდნენ "ვენეციაში", სადაც ურუგვაელი "ინტერიდან" ერთი წლით იყო განათხოვრებული. ახალი თანამშრომლობაც ერთწლიან არენდას ითვალისწინებს. მერე რა იქნება, ჯერ არავინ იცის.

ტრანსფერი

მშვიდობით ინტერს, სალამი ტორინოს!

რეკობა ძველ მასწავლებელთან

ტრანსფერი

ჩელსი

ტრავმებს ბოლო არ უჩანს

უკვე 14 დაშავებული. მოურინიო შიშობს, რომ პირველ ტურში 16 ფეხბურთელის შეგროვება გაუჭირდება, როგორი კი რეალზე საუბრობს

არიენ რობენმა პირველი კომენტარი გააკეთა "რეალში" მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. 23 წლის ჰოლანდიელი ამბობს, რომ მადრიდელთა დაინტერესება ძალიან სიამოვნებს: *"ამ ეტაპზე ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ. სანამ კლუბები არ შეთანხმდებიან, ჩემი კომენტარებით შეიძლება "ჩელსი" გავანაწყენო. ჯობია, კლუბებმა ილაპარაკონ და გადაწყვიტონ ეს საკითხი."* სპეკულაციების თანახმად, "ჩელსი" რობენს 20 მილიონ გირვანქად აფასებს. მოლაპარაკებებს არიენის მამა **ჰანსი** აწარმოებს. თავისი შვილის აგენტი სწორედ ისაა. რობენი "რეალის" პრეზიდენტ **რამონ კალდერონის** ერთ-ერთი ფავორიტია. ერთი წლის წინათ, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისას, კალდერონი ქომაგებს რობენის შეძენას დაპირდა. მადრიდელთა მთავარ მწვრთნელ **ბერნდ შუსტერს** სურს, შეთანხმება უმოკლეს დროში მოხერხდეს. რობენი ამბობს: *"ვიცი, რომ მადრიდში ჩემს ჩასვლას მოუთმენლად ელიან. გულით მინდა, ამ ხალხს მივმართო, მაგრამ ჯერ თავს ვიკავებ. როგორც კი კლუბები შეთანხმდებიან, გულშემატკივრებს მაშინვე გავუგზავნი შეტყობინებას."*

"ჩელსიში" საკადრო კრიზისი გრძელდება. გუშინდელ ვარჯიშზე ძირითადი შემადგენლობის კიდევ ორი ფეხბურთელი - **პეტრ ჩეხი** და **ეშლი კოული** დაშავდნენ. ტრავმირებული ფეხბურთელების რიცხვმა 14-ს მიაღწია. **ჟოზე მოურინიო** შიშობს, რომ კვირას "ბირმინგემთან" პირველი ტურის მატჩისთვის 16 ჯანმრთელი ფეხბურთელის შეგროვებაც კი გაუჭირდება. ამ წუთისთვის ისაა ცნობილი, რომ ორი ფეხბურთელის გარდა, ყველა სხვა მოთამაშის ტრავმა მსუბუქია. მათ კვირის ბოლომდე გამოჯანმრთელება უნდა მოასწრონ. "ბირმინგემთან" ნამდვილად ვერ ითამაშებენ **ჯონ ტერი** და **დიდიე დროგბა**. ტერი ერთთვიან შვებულებაში იმყოფება, დროგბას კი ორკვირიანი დასვენება აქვს გამოწერილი.

მოურინიო **შონ რაიტ-ფილიპსს** აგულიანებს. როგორც ჩანს, პირველ ტურში ამ ფეხბურთელს ძირითადში თამაში გარანტირებული აქვს: *"ის ნამდვილი პროფესიონალია. ყველაზე რთულ მომენტებშიც კი არ ჩაუქნევია ხელი. ჩვენ მისი გვჯერა. შონი ტაქტიკურად საგრძნობლად დაიხვეწა. თანაგუნდელებს ის ძალიან უყვართ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ რაიტ-ფილიპსი "ჩელსისთვის" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია."*

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, "არისტოკრატებმა" შეიძლება კიდევ ერთი გარიგება სრულყონ. გრძელდება სპეკულაციები ბარსელონელი **დეკუს** ინგლისში ტრანსფერის შესახებ. დეკუს "ჩელსი" და "ნიუკასლი" ეპატიჟებიან. ბრიტანელი ჟურნალისტების მტკიცებით, "ბარსა" ფეხბურთელს დაუყოვნებლივ გაყიდის, თუ 15 მილიონ ევროს გადაუხდიან. საკონტროლო შეხვედრებში **ფრანკ რიიკაარდი იაია ტურეზე, ხავისა** და **ანდრეს ინიესტაზე** აკეთებდა აქცენტს. თუ ეს ფეხბურთელები ძირითადში ითამაშებენ, დეკუს თადარიგში მოუწევს ყოფნა. "ჩელსის" ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია. რამდენიმე დღის წინათ დეკუმ თავად გამოთქვა მოურინიოს გუნდში თამაშის სურვილი. შეგახსენებთ, ეს ფეხბურთელი და მწვრთნელი "პორტუში" თანამშრომლობდნენ და 2004 წელს ჩემპიონთა თასიც დაისაკუთრეს.

ლონდონელები მაინც ხუმრობის ხასიათზე არიან. მარცხნიდან: დროგბა, ჩეხი და ტერი

სერია A

იწყებენ ლაციო და ტორინო...

გუშინ, იტალიის საფეხბურთო ლიგამ (ლეგა კალჩო) პირველი ორი ტურის კალენდარი ახალი თარიღებით დაამტკიცა. როგორც წინასწარ იყო ნავარაუდევი, სერია A-ს მომავალი მარათონი შაბათს, 25 აგვისტოს, "ლაციო"-"ტორინოს" მატჩით დაიწყება. შეხვედრა შუაევროპული დროით 18 საათისთვისაა (თბილისის 20:00) დანიშნული. იმავე დღეს, 20 საათსა და 30 წუთზე (22:30) გაიმართება მეორე მატჩიც, რომელშიც "იუვენტუსი" სერია A-ში დაბრუნებას "ლივორნოსთან" დაპირისპირებით აღნიშნავს. დანარჩენი შეხვედრები კვირას გაიმართება. გვიანი მატჩი იქნება "პალერმო"-"რომა", რომელიც თბილისის დროით 22:30 საათზე დაიწყება.

უფრო საყურადღებოა ცვლილება, რომელიც II ტურს შეეხო. პარასკევს, 31 აგვისტოს, "მილანს" ევროპის სუპერთასის მატჩი აქვს "სევილიასთან", რაც იმას ნიშნავს, რომ შაბათ-კვირას სერია A-ში ვერ ითამაშებს. "როსონერის" მესვეურთ "ფიორენტინასთან" მატჩის უფრო მოგვიანებით გადატანა სურდათ, მაგრამ კალენდარი შემჭიდროებულია (ევრო 2008-ის გამო ჩემპიონატი მომავალი წლის მაისის შუა რიცხვებში უნდა დასრულდეს) და ლეგა კალჩო ამ დათმობაზე ვერ წავიდა. კომპრომისის სახით ორშაბათის ვარიანტი გამოიონახა. ასე რომ, "მილანი" "ფიორენტინას" 3 სექტემბერს უმასპინძლებს. მატჩი თბილისის დროით 20:00 საათზე დაიწყება. ტური კი შაბათს გაიხსნება და მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართება: "ემპოლი"-"ინტერი" (22:30). კვირის გვიანი შეხვედრა "სამპდორია"-"ლაციო" იქნება (22:30). არაფერი შეცვლილა შუადღის მატჩებისთვის. ისინი ჩვეულებრივად 15 საათზე (17:00) დაიწყება. ახლა კი მეტი თვალსაჩინოებისთვის პირველი ორი ტურის დაზუსტებული ვარიანტი:

სერია A

I ტური

25 აგვისტო, შაბათი

ლაციო-ტორინო (20:00)

იუვენტუსი-ლივორნო (22:30)

26 აგვისტო, კვირა

ფიორენტინა-ემპოლი

ჯენოა-მილანი

ინტერი-უდინეზე

ნაპოლი-კალიარი

პარმა-კატანია

რეჯინა-პალერმო

სიენა-სამპდორია

პალერმო-რომა (22:30)

II ტური

1 სექტემბერი, შაბათი

ემპოლი-ინტერი (22:30)

2 სექტემბერი, კვირა

პალერმო-პარმა

კალიარი-იუვენტუსი

კატანია-ჯენოა

ლივორნო-პალერმო

რომა-სიენა

ტორინო-რეჯინა

უდინეზე-ნაპოლი

სამპდორია-ლაციო (22:30)

3 სექტემბერი, ორშაბათი

მილანი-ფიორენტინა (20:00)

გერმანია. ბუნდესლიგა 2007/08. განაცხადები

შტუტგარტი

დაარსდა: 1893
სტადიონი: გოტლიბდაიმლერშტადიონი (55 896)
მენეჯერი: ჰორსტ ჰელდტი

მეკარეები

1. რაფაელ შეფერი	30.01.1979
12. მიხაელ ლანგერი	06.01.1985
31. ალექსანდერ შტოლცი	13.10.1983

მცველები

2. ანდრეას ბეკი	13.03.1987
3. რიკარდო ოსორიო (მექ)	30.03.1980
4. გლედსონი (ბრა)	04.09.1979
5. სერდარ ტასკი	24.04.1987
6. ფერნანდო მეირა (პორ)	05.06.1978
15. არტურ ბოკა (კოტ დ')	02.04.1983
17. მატიო დელპიერი (საფ)	26.04.1981
21. ლუდოვიკ მანინი (შვეიც)	20.04.1979
36. მარკო პისხორნი	01.01.1986

ნახევარმცველები

7. სილვიო მაისნერი	19.01.1973
8. ალექსანდერ ფარნერუდი (შვედ)	10.05.1984
10. ილდირაი ბაშთურქი (თურ)	24.12.1978
11. თომას ჰიტცლშპერგერი	05.04.1982
13. პაველ პარდო (მექ)	26.07.1976
19. რობერტო ჰილბერტი	16.10.1984
25. ანტონიო და სილვა (ბრა)	13.06.1978
28. სამი ხედირა	04.04.1987
29. გეორგეს მანდჯეკი (კამ)	09.12.1988
42. პეტერ პერხთოლდი	02.09.1984

თავდამსხმელები

9. ევერტონი (ბრა)	10.06.1981
18. კაკაუ (ბრა)	27.03.1981
20. ჩიპრიან მარიკა (რუმ)	02.10.1985
23. მანუელ ფიშერი	19.09.1989
33. მარიო გომესი	10.07.1985

მწვრთნელი: არმინ ფეე, 01.02.61

შალკე

დაარსდა: 1904
სტადიონი: ფელტინს არენა აუფ შალკე (61 482)
მენეჯერი: ანდრეას მიულერი

მეკარეები

1. მანუელ ნოიერი	27.03.1986
32. რალფ ფერმანი	27.09.1988
33. მათიას შობერი	08.04.1976
34. ტონი ტაპალოვიჩი (ხორ)	10.10.1980

მცველები

2. ჰაიკო ვესტერმანი	14.08.1983
4. მათიას აბელი	22.06.1981
5. მარსელო ბორდონი (ბრა)	07.01.1976
16. დარიო როდრიგესი (ურუ)	17.09.1974
18. რაფინია (ბრა)	07.09.1985
20. მლადენ კრსტაიჩი (სერ)	04.03.1974
23. ბენედიქტ ჰიოვედესი	29.02.1988
24. კრისტიან პანდერი	28.08.1983
31. სებასტიან ბოენიში	01.02.1987

ნახევარმცველები

3. ლევან კობიაშვილი (საქ)	10.07.1977
7. გუსტავო ვარელა (ურუ)	14.05.1978
8. ფაბიან ერნსტი	30.05.1979
10. ივან რაკიტიჩი (ხორ)	10.03.1988
13. ჯერმენ ჯონსი	03.11.1981
15. ტიმო კუნერტი	12.03.1987
17. მესუთ იოზილი	15.10.1988
25. ზლატან ბაირამოვიჩი (ბოს)	12.08.1979
26. მიმუნ აზაუაგი	17.11.1982
28. მარკუს ჰეკე	11.04.1986

თავდამსხმელები

9. სიორენ ლარსენი (დან)	06.09.1981
11. პეტერ ლოვენკრანდსი (დან)	29.01.1980
14. ჯერალდ ასამოა	03.10.1978
19. ჰალილ ალთინთოფი (თურ)	08.12.1982
22. კევინ კურანი	02.03.1982

მწვრთნელი: მირკო სლომკა, 12.09.67

ვერდერი

დაარსდა: 1899
სტადიონი: ვეზერშტადიონი (42 100)
მენეჯერი: კლაუს ალოფსი

მეკარეები

1. ტიმ ვიზე	17.12.1981
33. კრისტიან ფანდერი	24.10.1980
40. ნიკო პელატცი	08.07.1986

მცველები

3. პეტრი პასანენი (ფინ)	24.09.1980
4. ნალდო (ბრა)	10.09.1982
5. პიერ ვომე (კამ)	26.03.1979
8. კლემენს ფრიტცი	07.12.1980
13. დუშკო ტოშიჩი (სერ)	19.01.1985
15. პატრიკ ოვომოიელა	05.11.1979
27. კრისტიან შულცი	01.04.1983
29. პერ მერტეზაკერი	29.09.1984

ნახევარმცველები

6. ფრანკ ბაუმანი	29.101975
7. იურიცა ვრანიეში (ხორ)	31.01.1980
10. დიეგო (ბრა)	28.02.1985
16. ლეონ ანდრეასენი (დან)	23.04.1983
19. კარლოს ალბერტო (ბრა)	11.12.1984
20. დანიელ იენსენი (დან)	25.06.1979
22. ტორსტენ ფრინგსი	22.11.1976
24. ტიმ ბოროვსკი	02.05.1980
25. პეტერ ნიმაიერი	22.11.1983
31. კევინ არტმანი	21.04.1986
38. ამაური ბიშოფი	31.03.1987

თავდამსხმელები

9. მარკუს როზენბერგი (შვედ)	27.09.1982
14. აარონ ჰანტი	04.09.1986
17. ივან კლასნიჩი (ხორ)	29.01.1980
18. ბოუბაკარ სანოგო (კოტ დ')	17.12.1982
23. უგო ალმეიდა (პორ)	23.05.1984
28. კევინ შინდლერი	21.05.1988
34. მარტინ ჰარნიკი (ავს)	10.06.1987

მწვრთნელი: თომას შააფი, 30.04.61

ბაიერნი

დაარსდა: 1900
სტადიონი: ალიანს არენა (69 000)
მენეჯერი: ული ჰიონესი

მეკარეები

1. ოლივერ კანი	15.06.1969
22. მიხაელ რენზინგი	14.05.1984
29. ბერნდ დრეერი	02.11.1966

მცველები

2. ვილი სანიოლი (საფ)	18.03.1977
3. ლუსიო (ბრა)	08.05.1978
5. დანიელ ვან ბუიტენი (ბელ)	07.02.1978
6. მარტინ დემიკელისი (არგ)	20.12.1980
21. ფილიპ ლამი	11.11.1983
23. მარსელ იანსენი	04.11.1985
25. ვალერიან ისმაელი (საფ)	28.09.1975
- საშინაო შეხვედრაში მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ, თუ არ ვცდები, პირველივე მატჩში ტალინელებთან 31 ქულა ჩავაგდე და 6 ქულის სხვაობით ვიმარჯვეთ (81:75). მომდევნო ეტაპზე გასვლასთან ყველაზე ახლოს სწორედ 1997 წელს ვიყავით, მაგრამ განმეორებითი შეხვედრის წინ მეტოქეს დეტალურად ვყავდით გაშიფრულები. როცა მატჩის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, ესტონელთა ხელშეწყობით მე და ირაკლი ჯაფარიძეს 5-5 ფოლის გამო მოედნის დატოვება მოგვიხდა. დასანანი წაგება იყო.

- შემდეგ წელიწადს დონეცკის "შახტიორს" ეთამაშეთ.

- მეტოქე ჩვენზე ძლიერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში მხოლოდ

- და როგორი გუნდია 2007 წლის "აზოტი?" ეს ევროთასზე გამოჩნდება. მანამდე კაპიტან რამაზ გოგობერიშვილს მოვუსმინოთ, რომელიც გასული საუკუნის ბატალიებსაც იხსენებს და რუსთაველთა ამჟამინდელ მდგომარეობაზეც საუბრობს.

- პირველ რიგში, უნდა მოგილოცოთ, რვანლიანი შესვენების შემდეგ "აზოტი" ევროსარბიელზე გავიდა...

- სასიამოვნო ამბავიცაა და საპასუხისმგებლოც. ვეცდებით, საქართველოს სახელი ღირსეულად წარმოვაჩინოთ.

- 8-9 წლის წინათ კორაჩის თასზე მოასპარეზე და 2006-07 წლების სეზონის "აზოტის" შედარებას თუ შეძლებ?

- რთული საქმეა.

კორაჩის თასი 1997/98

აზოტი-ფაირსი (ესტ.) 81:75

40:33, 41:42

1997 წელი. თბილისი, 11 სექტემბერი. 6 120 მაყურებელი

აზოტი: გაბისონია (29 წთ. 10 ბ. 2 ჩ. 1 პ. 5 ფ), ვ. ბოისა (33 წთ. 22 ქ. 1 მ), კიკვიძე (14 წთ. 3 ქ. 1 მ), ბეჟანიშვილი (19 წთ. 5 ქ. 2 პ), ბერუაშვილი (25 წთ), ჯაფარიძე (28 წთ. 17 ქ. 9 მ), გოგობერიშვილი (33 წთ. 31 ქ. 9 ბ. 4 პ. 1 ჩ), კეჭაყმაძე (5 წთ. 2 მ), დავითულიანი (14 წთ. 3 ქ. 1 მ)

ფაირსი: სეილი (7 ქ. 10 ბ. 3 პ. 3 ჩ), ნურია (4 ქ), ილვერი (2 ქ), ლუკოცევსკი (12 ქ), სუურორგი (14 ქ. 5 მ), ტენო (6 ქ), ჰენდრიკსონი (4 ქ), პიპელა (26 ქ. 7 მ)

მსაჯები: სერგეი ბულანოვი (რუსეთი), რომან რიჟიკი (უკრაინა)

ფაირსი (ესტ.)-აზოტი 90:67

40:26, 50:41

1997 წელი. ტალინი, 17 სექტემბერი. 730 მაყურებელი

ფაირსი: სეილი (17 ქ. 4 პ), ილვერი (6 ქ. 5 მ), კიკერპილი (8 ქ), ლუკოცევსკი (20 ქ), სუურორგი (20 ქ. 4 ჩ), ტენო (17 ქ), რენტერი (1 ქ), ჰენდრიკსონი (6 ქ. 6 მ), პიპელა (5 ქ)

აზოტი: გაბისონია (31 წთ. 3 ქ. 5 ბ. 2 ჩ), ვ. ბოისა (31 წთ. 11 ქ. 7 ბ. 1 ჩ), კიკვიძე (17 წთ. 6 ქ. 3 მ), ბეჟანიშვილი (29 წთ. 14 ქ. 11 ბ. 1 პ), წიკლაური (1 წთ), ბერუაშვილი (8 წთ. 3 მ), ჯაფარიძე (27 წთ. 10 ქ. 2 ბ. 1 პ. 5 ფ), გოგობერიშვილი (34 წთ. 17 ქ. 1 ბ. 1 პ. 5 ფ), კეჭაყმაძე (5 წთ. 2 ქ), დავითულიანი (17 წთ. 4 ქ. 7 ბ. 1 ჩ)

მსაჯები: ვირგინიუს დავიდავიჩუსი (ლიტვა), იური კოკაინისი (ლატვია)

კორაჩის თასი 1998/99

აზოტი-შახტიორი (უკრ.) 92:93

41:54, 51:39

1998 წელი. თბილისი, 16 სექტემბერი. 4 680 მაყურებელი

აზოტი: გაბისონია (35 წთ. 2 ქ. 5 ბ. 2 ჩ), ბაბიაშვილი (25 წთ. 8 ქ. 7 მ), ბერუაშვილი (15 წთ. 4 ქ. 4 ბ. 1 ჩ. 5 ფ), ჟღენტი (37 წთ. 17 ქ. 4 ბ. 1 პ. 1 ჩ), გოგოლაძე (4 წთ. 2 მ), წიკლაური (11 წთ. 2 მ), ჩარუა (2 წთ), ჯაფარიძე (38 წთ. 36 ქ. 4 ბ. 1 პ. 1 ჩ), გოგობერიშვილი (33 წთ. 25 ქ. 2 ბ. 1 პ. 3 ჩ)

შახტიორი: ზავალინი (25 ქ. 5 ბ. 4 პ), იშუკი (4 ქ. 7 მ), ბოტიჩევი (14 ქ. 13 მ), გერასიმოვი, ვასილჩენკო (18 ქ. 5 მ), ტკაჩი (29 ქ. 11 პ), შალეიევი (17 ქ. 11 ბ. 5 პ), მალოხტანი (3 ქ), კაპინოსი (4 ქ), გურტოვოი (3 ქ. 6 მ)

აზოტი: გაბისონია (31 წთ. 9 ქ. 5 ბ. 3 პ. 5 ფ), ბაბიაშვილი (29 წთ. 11 ქ. 9 მ), ბერუაშვილი (29 წთ. 4 ქ. 3 მ), ჟღენტი (35 წთ. 14 ქ. 5 ბ. 9 პ. 5 ჩ), წიკლაური (3 წთ. 1 მ), ჩაჩუა (1 წთ), ჯაფარიძე (37 წთ. 21 ქ. 4 ბ. 2 პ), გოგობერიშვილი (35 წთ. 28 ქ. 2 ბ. 2 პ. 2 ჩ. 5 ფ)

მსაჯები: ფატიპ სოილემეზოღლუ (თურქეთი), ნიკოლაი ნედელჩევი (ბულგარეთი)

კორაჩის თასი 99/2000

აზოტი-ბკ. კიევი (უკრ.) 74:100

34:52, 40:48

1999 წელი. თბილისი, 15 სექტემბერი. 5 200 მაყურებელი

აზოტი: გაბისონია (20 წთ. 5 ბ. 5 ფ), ბაბიაშვილი (14 წთ. 11 ქ. 3 მ), ბერუაშვილი (29 წთ. 9 ქ. 8 ბ. 2 პ. 3 ჩ), ჟღენტი (34 წთ. 8 ქ. 3 ბ. 1 პ. 2 ჩ), ხოშტარია (30 წთ. 13 ქ. 1 ბ. 1 პ), ჯაფარიძე (34 წთ. 24 ქ. 6 მ), გოგობერიშვილი (35 წთ. 9 ქ. 3 ბ. 1 პ. 1 ჩ), ჯიმშელეიშვილი (4 წთ)

კიევი: იუშკინი (10 ქ. 3 ჩ), ნიზკოშაპკა (4 ქ. 5 ფ), ხიზნიაკი (2 ქ), ბალაშოვი (217 ქ. 5 მ), ვარენიკი (15 ქ), ჟურავლიოვი (18 ქ. 11 მ), მაკკანტში (10 ქ. 4 პ), გალენკინი (5 ქ), მედვედენკო (19 ქ, 8 მ. 3 ჩ. 5 ფ), შევჩენკო

მსაჯები: აგნის პერკონსი (ლატვია), ფიოდორ დმიტრიევი (ბელორუსი)

ბკ. კიევი (უკრ.)-აზოტი 90:72

44:38, 46:34

1999 წელი. კიევი, 22 სექტემბერი 900 მაყურებელი

კიევი: იუშკინი (5 ქ. 6 ბ. 4 პ), ნიზკოშაპკა (14 ქ. 6 ბ. 4 პ), ხიზნიაკი (6 ქ. 8 ბ. 6 დ), ლებედიევი (10 ქ), ბალაშოვი (13 ქ. 10 მ), ვარენიკი, ჟურავლიოვი (13 ქ. 5 მ), მაკკანტისი (11 ქ), გალენკინი (6 ქ. 7 მ), მედვედენკო (12 ქ. 5 ბ. 4 პ)

აზოტი: გაბისონია (23 წთ. 1 ქ. 2 ბ. 1 პ. 1 ჩ. 5 ფ), ბაბიაშვილი (21 წთ. 15 ქ. 9 ბ. 1 ჩ. 2 დ), ბერუაშვილი (22 წთ. 5 ქ. 5 ბ. 5 ფ), ჟღენტი (32 წთ. 10 ქ. 9 ბ. 3 პ. 3 ჩ), გოგოლაძე (3 წთ. 1 ქ. 2 მ), ხოშტარია (26 წთ. 9 ქ. 2 ბ. 3 პ), ჯაფარიძე (34 წთ. 18 ქ. 5 ბ. 1 პ), გოგობერიშვილი (38 წთ. 13 ქ. 8 ბ. 2 პ. 1 ჩ. 2 დ), ჯიმშელეიშვილი (1 წთ)

მსაჯები: ვლადიმირ დადუგინი (რუსეთი), ნიკოლაი კოლოტილშიკოვი (რუსეთი)

თეატრი



ზურაბ საკანდელიძე. 09.08.1945, ქუთაისი - 25.01.2004, თბილისი. კალათბურთი (186 სმ). თამაშობდა თბილისის "დინამოსა" (1963-75) და სსრკ ნაკრებში (1965-73). 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონი (1957) და მესამე პრიზიორი (1970), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1965, 67, 69, 71) და მესამე პრიზიორი (1973), სსრკ თასის მფლობელი (1969), ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მცველი (1967), მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების წევრი (1967), საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1967). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენების კავალერი.

აღდგეს აკადემია!

ახლა ეს არის სპორტის აკადემიის თანამშრომლებისა და სტუდენტების ერთადერთი მოთხოვნა. გუშინ, ეს მოთხოვნა კიდევ ერთხელ გაჟღერდა. აკადემიელებმა იქვე, სპორტის დეპარტამენტშიც პირველად გადაინაცვლეს იმ იმედით, რომ მათთან შესახვედრად იქ მოვიდოდნენ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან. შეხვედრა არ შედგა. გასაკვირიც არ იყო. სამინისტრომ არაერთხელ დააფიქსირა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია და არ შეიცვლება. *"სპორტის აკადემია სჭირდება საქართველოს და იგი უნდა აღდგეს, ანუ უნდა გაუქმდეს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტი. სამაგისო ხელმონერით ამის თაობაზე თხოვნა ადრე პრეზიდენტს გავუგზავნეთ. ახლა განმეორებით მივმართავთ"*, - ასეთია პროფესორ-მასწავლებელთა ახალი სამოქმედო გეგმა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ვეტერანები

დუშელები ბათუმის პლაჟზე

ბათუმში წლეულს მეორედ ჩატარდა ტურნირი პლაჟბურთში ქალთა შორის, რომელიც, შარშანდელისგან განსხვავებით, საერთაშორისო არ გამოვიდა. ტურნირზე ჩამოსვლა ვერ მოახერხეს თურქმა სპორტსმენებმა. ამიტომ შეჯიბრებაში მხოლოდ ქართულმა წყვილებმა იასპარეზეს.

ტურნირში 38-მა დუეტმა მიიღო მონაწილეობა და ყველასათვის მოულოდნელად, დუშელი ფრენბურთელების **მაია ყორიაულისა** და **სოფო ბეწუაშვილის** გამარჯვებით დასრულდა. მათ ფინალში ფავორიტები, დიდი ჯიხაიშის "ჯიკოს" ფრენბურთელები **ნათია არველაძე** და **ნონა ღვინჯილია** დაამარცხეს.

წაგების ლიმიტი ამოწურეს

ნორვეგიულ კრისტიანსანდში მიმდინარე პლაჟბურთის მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის პირველი დღე წარუმატებელი გამოდგა ქალთა ქართული წყვილისთვის. დიდი სლემის ტურნირებისგან განსხვავებით, აქ ფრენბურთელები ჯგუფებში განაწილებული არ არიან და მხოლოდ ერთი მარცხის უფლება აქვთ.

ჩვენმა ფრენბურთელებმა სტარტზევე ორივე შეხვედრა წააგეს და ტურნირს გამოეთიშნენ. პირველი შეხვედრა **საქა-რთველომ** კუბელებთან **ფერნანდეს გრასეტთან** და **ლარეა პერასასთან** დათმეს 0:2 (14:21, 17:21). მერე კი ბრაზილიელებთან, **ლეილასა** და **ანა პაულასთან** დამარცხდნენ - 11:21, 13:21.

საბოლოოდ, საქა-რთველოს ტურნირიდან 50 სარეიტინგო ქულა და 1600 ამერიკული დოლარი ერგო. **გეორ-გია** ასპარეზობაში დღეიდან ჩაერთვება.

ბესიკ ჯანგავაძე

ჭიდაობა

ახალგაზრდები პეკინისკენ

21-26 აგვისტოს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს ჩინეთის დედაქალაქი პეკინი უმასპინძლებს. ჩემპიონატში მონაწილეობას საქართველოს ანტიკური და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრებები მიიღებენ. ტურნირის ორგანიზატორებს უკვე ხელთ აქვთ განაცხადი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან. ჩინეთში იჭიდავებენ: **დავით ბერძმიშვილი** (50 კგ.), **გიორგი ედიშერაშვილი** (55 კგ.), **გიორგი მაყიშვილი** (60 კგ.), **გოჩა ლომთათიძე** (74 კგ.), **ბექა ჭელიძე** (84 კგ.), **ზაალ მარტიაშვილი** (96 კგ.) და **გიორგი ნიკურაძე** (120 კგ.). შეგახსენებთ, რომ ბელგრადში ევროპის ჩემპიონატზე (რომელიც ივნისის მიწურულს გაიმართა) ჩვენმა მოჭიდავეებმა არცთუ კარგად იასპარეზეს. იმ შემადგენლობიდან ნაკრებში ადგილი შეინარჩუნეს ბრინჯაოს მედალოსნებმა გოჩა ლომთათიძემ და ბექა ჭელიძემ, ნაკრებში დარჩნენ გიორგი მაყიშვილი და გიორგი ნიკურაძეც.

ანტიკური სტილით მოჭიდავეთა შორის ოთხ წონაშია გარკვეული, თუ ვინ იჭიდავებს: **გიორგი გოგბერაშვილი** (50 კგ.), **ლაშა გოგიტაძე** (55 კგ.), **ბექა როყვა** (74 კგ.) და **გენადი ხელია** (96 კგ.). ორგანიზატორებს ჯერ არ მისვლიათ ცნობა, თუ ვინ იჭიდავებს 60 (სავარაუდოდ **რევაზ ლაშხი**), 66 (სავარაუდოდ, **ანტონ მამაგეიშვილი**), 84 (ალბათ, **სერგო ნინუა**) და 120 კილოგრამ წონით კატეგორიებში (სავარაუდოდ, **გურამ ფერსელიძე**). ბელგრადული შემადგენლობიდან გუნდშია ბრინჯაოს მედალის მომპოვებელი ლაშა გოგიტაძე. სერგო ნინუამაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა სერბეთის დედაქალაქში.

ვეტერანების ორი მედალი

თურქეთის ქალაქი სტამბოლი ვეტერან მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობდა. 30 ქვეყნის მოჭიდავეთა შორის ქართველებიც იყვნენ, ორმა მათგანმა მედალი მოიპოვა: ბათუმელმა **ანზორ ლაზიშვილმა** ვერცხლი, ხოლო ქუთაისელმა **ენდი გოგრიჭიძემ** ბრინჯაო. საქართველოს ნაკრები შვიდი ვეტერანი მოჭიდავით გამოვიდა. შემდეგი ჩემპიონატი 2008 წელს პეკინში გაიმართება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

გინესის რეკორდის მოლოდინში

გიორგი დავითაშვილი და ზურაბ ხომასურიძე

ორი მეზობელი ქვეყნის, თურქეთისა და საქართველოს ურთიერთობა, როგორც მოსალოდნელია, სულ მალე, კიდევ ერთი საერთო ღონისძიებით გამდიდრდება. თურქეთის ქალაქ რიზედან სტარტს აიღებს და საგინესო რეკორდისთვის ბათუმამდე მარათონულ 120-კილომეტრიან დისტანციას შეუსვენებლივ გაცურავს ცნობილი ქართველი სპორტსმენი, ათენის ოლიმპიადის მონაწილე, მოცურავე **ზურაბ ხომასურიძე**. პირველ ინფორმაციას "ლელოს" მკითხველი, ამ გაცურვასთან დაკავშირებით, 12 ივლისის ნომერში გაეცნო.

გუშინ, ზურაბი და მისი მენეჯერი **გიორგი დავითაშვილი** რედაქციაში გვეწვივნენ და სარეკორდო მარათონულ გაცურვასთან დაკავშირებით ახალი ამბები შეგვატყობინეს. "ინტენსიურად ვემზადები გამძლეობაზე ლაგუნა-ვერეს აუზში. ეს აუცილებელია, რადგან სარეკორდო მანძილის დასაძლევად 35-40 საათი შეუსვენებლივ უნდა ვიცურო. სასმელსა და საკვებს თანმხლები კატერიდან უკონტაქტოდ მომანვდიან. სანავიგაციო ხელსაწყოებით აღჭურვილი კატარღით კი დამკვირვებლები, მსაჯები, სამედიცინო პერსონალი და დიეტოლოგი გამომყვებიან", - ამბობს ზურაბი.

ამასთან, მოცურავეს მთელ მანძილზე, მონაცვლეობით, ცურვით გაჰყვებიან სპორტის ამ სახეობის ცნობილი თურქი სპორტსმენები, რითაც სტიმულს მისცემენ ქართველ კოლეგას.

როგორ გვარდება ორგანიზაციული საკითხები? გიორგი დავითაშვილმა გვიპასუხა, რომ გაცურვის შესახებ ინფორმაცია უკვე მიაწოდეს საქართველოს პარლამენტს, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტს, მიმდინარეობს მოლაპარაკება სპონსორებთან.

ჭადრაკი



სოფიკო ნიკოლაძე

შავი ფერი ნამდვილად კი გვიყვარს ქართველებს, მაგრამ ჭადრაკში ამაზე ვერ ვიტყვით. თუმცა, ყველა სირთულისთვის მზად უნდა იყო. ესპანეთში მიმდინარე ორ საერთაშორისო ტურნირში, სადაც ხუთი ქართველი მონაწილეობს, ექვს-ექვსი ტურია გამართული. გაგიკვირდებათ და მეექვსე ტურში უკლებლივ ყველა ჩვენებურს შავი ფერით თამაში მოუწია.

ნარმატების ნაკლები შანსი თითქოს უნდა გვქონოდა, მით უფრო, რომ ლიდერებში ვიყავით, სადაც წინააღმდეგობა გაცილებით ძლიერია, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და დადებითი ბალანსით დავასრულეთ შეჯიბრების მეექვსე დღე. პირველ რიგში ბადალონაში მიმდინარე ტურზე ვთქვათ, სადაც ერთადერთი ქართველი, დიდოსტატი **ლევან არაშიძე** თამაშობს. ხუთი ტურის შემდეგ ლევანს 4.5 ქულა ჰქონდა და მასზე კვალიფიკაციითა და რეიტინგით ნაკლებ კუბელ **ორელვის პერესს** ხვდებოდა. გუშინ ვთქვით კიდეც, წესით უნდა აჯობოს ლევანმა კუბელს-თქო, მაგრამ ალბათ ისევ ფერის "სისუსტემ" იჩინა თავი და მხოლოდ ყაიმს გამორჩა. ნახევარი ქულის შემატებასაც არაუშავს: მართალია, ლიდერობა დაკარგა, მაგრამ ხუთი ქულით მეორე-მეხუთე ადგილებს იყოფს და სამი ტურით ადრე ჩემპიონობის შანსიც საკმაოდ აქვს...

ქართველები შავებით...

პუებლა დე ლილიტეში კი **ანა მათნაძე, სოფიკო ნიკოლაძე, სოფიკო გურამიშვილი** და **მარიამ დანელია** იბრძვიან. ამ კვარტეტიდან მხოლოდ მათნაძემ წააგო, დანელიამ ყაიმით ითამაშა, ნიკოლაძემ და გურამიშვილმა კი გაიმარჯვეს. ანამ ფავორიტთან მეოთხე ნომერ **თომას ლუთერთან** წაგო; დანელიამ კი მეთორმეტე ნომერ, ესპანელ **ემილი სარინისთან** გაიყო ქულა; დანელია თავად 22-ეა განთესვით.

გამორჩეულად გასახარია ორივე სოფიკოს გამარჯვება, რადგანაც რეიტინგით უმეტესებს აჯობეს: გურამიშვილმა მერვე ნომერი **იპოლიტ აზიზი** დაამარცხა, ნიკოლაძემ კი - **ალექსანდრ ვოლი**; გურამიშვილი რეიტინგით მეცხრეა, ნიკოლაძე - მე-14.

გურამიშვილის კარგი თამაში აღარ გვიკვირს და კარგია, რომ კვლავ მშვენიერ ფორმაშია, მაგრამ ნიკოლაძის შედეგიანობა კი გვაოცებს, - ამაზე გუშინაც ვწერდით, თუმცა კიდევ გავმეორდებით: წლებია, აქტიურ ჭადრაკს არის ჩამოშორებული, რაშიც უმთავრესი "დამნაშავე" ოჯახია, სადაც ხუთ შვილს უვლის. სოფიკოს დღეს კი ექნება დიდი გამოცდა - მეორე ნომერ **კარენ მოვსესიანს** ხვდება, მაგრამ რომც წააგოს, სანერვიულო არაფერი ექნება - მან უკვე საუკეთესოდ წარმოაჩინა თავი. ერთია მხოლოდ: მათნაძის მარცხის გამო, ქალთა შორის ავსტრიელ **ევა მოზერთან** კონკურენცია გართულდა - მოზერმაც მოიგო და ანას ნახევარი ქულით გაუსწრო, თუმცა ნიკოლაძეს ამდენივეთი ჩამორჩება; 4.5 ქულა აქვს გურამიშვილსაც; დანელიას 3.5 გაუხდა და ალბათ მაღალ პრიზებს ვერ შეწვდება, თუმცა კარგი ადგილისთვის კი იბრძოლებს, რაც რეიტინგში საკმაოდ წაადგება...

რახან ჭადრაკში ფერთა მონაცვლეობაა, მეშვიდე ტურში ყველა ქართველი უკვე თეთრებით ითამაშებს, რაც წარმატების კიდევ მეტ იმედს გვაძლევს. თუმცა ფერთა ცვლა არ ნიშნავს იმას, რომ მერვე ტურშიც ყველანი შავებით ითამაშებენ, - შესაძლოა, რომელიმეს ორჯერ მოუწიოს ერთი და იგივე ფერით ასპარეზობა...

ლევან არაშიძე (5) კუბელ ომარ ალმეიდას (5) ხვდება, სოფიკო ნიკოლაძე (5) - კარენ მოვსესიანს (4.5), არტურ კოგანი (4.5) - ევა მოზერს (4.5), სოფიკო გურამიშვილი (4.5) - ალექსანდრ ვოლის (4); ანა მათნაძე (4) - მაურიციო ტარაგოს (4), მარიამ დანელია (3.5) - ჯორდი მილას (3.5).

ზვიად შათირიშვილი

დუჟინი საბერძნეთში



თამაზ გელაშვილი

ესპანურ ლეგიონზე მოგახსენეთ და საბერძნეთში, საკურორტო ქალაქ კავალში კიდევ მეტი ჩვენებური თამაშობს; ტურნირიც უფრო ძლიერი და პრესტიჟულია, ქართველთა შემადგენლობაც სოლიდური: 12-კაციან "გუნდს" სათავეში უდგას დიდოსტატი **თამაზ გელაშვილი**, რომელიც ტურნირზე მეორე ნომერია - თამაზის რეიტინგი 2604-ია, მას მხოლოდ მოლდოველი **დმიტრი სვეტუშკინი** უსწრებს - 2618. ბარემ ტურნირის პირველ ათეულს ჩამოვთვლით, რაც ტურნირის სიძლიერეზე გარკვეულ შთაბეჭდილებას შეგიქმნით: 3. ბასილიოს კოტრონიასი (საბ. 2602); 4. ალექსანდრ გრაფი (გერ. 2595); 5. ივან ივანიშევიჩი (სერ. 2595); 6. მილოშ პერუნოვიჩი (სერ. 2589); 7. ვასილ სპასოვი (ბულ. 2583); 8. სტელიოს ჰალკისი (საბ. 2580); 9. ათანას კოლევი (ბელ. 2569); 10. ხრისტოს ბანიკასი (საბ. 2567).

ქართველები: **გიორგი მარგველაშვიი** (2435; 28-ე ცხრილში); 29. **ნიკოლოზ მანაგაძე** (2433); 30. **თორნიკე სანიკიძე** (2427); 32. **ბაჩანა მორჩიაშვილი** (2415); 36. **ნანა ძაგნიძე** (2404); 40. **სოფიკო ხუხაშვილი** (2392); 41. **ნიკოლოზ შავთვალაძე** (2386); 43. **სალომე მელია** (2372); 47. **ივერი ჭიღლაძე** (2341); 81. **სალომე ხაჟომია** (2175); 136. **ელისაბედ ზარქუა** (2011).

სულ ტურნირზე 144 მონაწილეა უამრავი ქვეყნიდან. ტურნირი შვეიცარული სისტემით, 9 ტურად ტარდება. საპრიზო ფონდი საკმაოდ ნორმალურია: პირველ ადგილზე გასული 2500 ევროს მიიღებს; მეორე ადგილზე გასულს 1500; მესამეზე - 900; მეოთხეზე - 600... დაწესებულია სპეციალური პრიზები: ქალთათვის: I - 400; II - 200; III - 100; 18 წლამდე ვაჟებში გამარჯვებული 200 ევროს მიიღებს; ამდენივეთი დაჯილდოვდება ვეტერანთა შორის გამარჯვებულიც.

პრიზების მოპოვების იმედი ყველა კატეგორიაში გვაქვს და ტურნირის სტარტიც იმედიანად განგვაწყობს; დღემდე ოთხი ტური გაიმართა და 3.5 ქულით თამაზ გელაშვილი ლიდერთა შორისაა; 4 ქულა მხოლოდ ორ მონაწილეს აქვს... გელაშვილის შემდეგ საუკეთესო შედეგი მარგველაშვილს, მორჩიაშვილს, შავთვალაძესა და მელიას აქვთ 3-3 ქულა; 2.5-2.5 აქვთ: ჭიღლაძეს, მანაგაძეს, ძაგნიძესა და ხუხაშვილს; ზარქუას 2 ქულა აქვს მარაგაში, ხაჟომიას კი - 1.5.

აღსანიშნავია, რომ ოთხი ტურის განმავლობაში არც ერთი ქართული დერბი არ შემდგარა, რაც ამდენ ქართველში ცოტა უცნაურია. წილისყრამ მეხუთე ტურშიც დაგვინდო და ქართველები ისევ არ დააპირისპირა ერთმანეთს. კარგი იქნება თუ ჩვენებურები მაქსიმალურად იხეირებენ და მეტოქეებს დაამარცხებენ, თუმცა იოლი საქმე ეგ ვერ არის, განსაკუთრებით, ცხრილის ზედა ნაწილში.

მეხუთე ტური: გელაშვილი (3.5)-ალისა მარიჩი (3.5; სერ.); მარგველაშვილი (3)-მირჩა პარლიგლასი (3; რუმ.); მორჩიაშვილი (3)-დანილო მილანოვიჩი (3; სერ.); სპას კოჟუხაროვი (3; ბულ.)-შავთვალაძე (3); მელია (3)-გრიგორ გრიგოროვი (3; ბულ.); შოქაათ განე (2.5; ირანი)-ჭიღლაძე (2.5); სვეტლანა ჩერედნიჩენკო (2.5; უკრ.)-მანაგაძე (2.5); ძაგნიძე (2.5)-ანასტასიოს პავლიდისი (2.5; საბ.); ხუხაშვილი (2.5)-პანალოტის ხრისტოდულო (2.5; საბ.); კონსტანტინოს კლიკასი (2; საბ.)-ზარქუა (2); ხაჟომია (1.5)-ეპამინონდას კურუსისი (1.5; საბ.).

ზვიად შათირიშვილი

ტურის შემდეგ

კონტადორისთვის ჰამბურგი აკრძალულია

ალბერტო კონტადორი

შორ სწორედ, ჰამბურგში გამგზავრებას **ალბერტო კონტადორს** არავინ უშლის, მაგრამ ჰამბურგის კლასიკური რბოლის ორგანიზატორებს არ სურთ, რომ ტურ დე ფრანსის ჩემპიონმა მათ რბოლაში მიიღოს მონაწილეობა. ეს მიზეზად კი ისინი იმ ფაქტს ასახელებენ, რომ კონტადორი მოხსენიებულია სკანდალურად ცნობილ დოქტორ **ეუფემიანო ფუენტესის** სიაში (ოპერაციონ პუერტო).

"ჩვენი პრინციპი მარტივია - არ გვინდა, რბოლაზე დავუშვათ ისინი, ვისი სახელებიც დოქტორ ფუენტესის სიაშია მოხსენიებული", - ამბობს ჰამბურგის რბოლის დირექტორი **ფრანკ ბერტლინგი**. კონტადორის გარდა, ჰამბურგში ასპარეზობის უფლება არ მიეცა დანიელ **მიქაელ რასმუსენსაც**, ვინც ტურზე ლიდერობის მიუხედავად, თავისმა გუნდმა "რაბობანკმა" რბოლიდან მოხსნა.

ამ ამბავთან დაკავშირებით, კონტადორი სპეციალურ განცხადებას ამზადებს, რომელსაც ესპანეთის სპორტის საბჭოსთან ერთად გამოაქვეყნებს. განცხადების შემდეგ, მონვეულ იქნება მოკლე პრესკონფერენცია, რომელზეც სიტყვით გამოვა "დისქავერი ჩენელის" შეფი **იოჰან ბრიუნელიც**. ოღონდ, პრესკონფერენცია ისე ჩაივლის, რომ გამომსვლელები კითხვებს არ უპასუხებენ.

სხვათა შორის, კონტადორი მართლაც მოხსენიებულია ოპერასიონ პუერტოს სიაში, მაგრამ საქმის განხილვის შემდეგ, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა მას ყველანაირი ბრალდება მოუხსნა. ამასთან, ველომრბოლი მზადაა, გაიაროს დნმ-ის ტესტი, რათა ამით საკუთარი უდანაშაულობა დაამტკიცოს.

საინტერესოა ისიც, რომ ტურის ბოლო რამდენიმე ეტაპზე კონტადორი თავს შეუძლოდ გრძნობდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მეტოქეები მისი პრობლემების შესახებ არც დაეჭვებულან. პრობლემები კი ობისკის უმაღლესი კატეგორიის აღმართის შემდეგ დასწყებია (ის ეტაპი რასმუსენმა მოიგო, მეორეზე კი კონტადორის ამერიკელი თანაგუნდელი **ლევი ლაიპჰაიმერი** გავიდა). კონტადორს ყელი გაუცივდა. დროზე რბოლამდე სამი დღით ადრე შიში გამიჩნდა, რომ პარიზამდე ვერ ჩავაღწევდიო. მერე, პრესკონფერენციაზე რეპორტიორები მისი ჩახლეჩილი ხმით დაინტერესებულან, მაგრამ ესპანელმა მეტოქეთათვის მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია საიდუმლოდ შეინახა.

გუშინვე ცნობილი შეიქნა, რომ დოპინგტესტი ვერ გაიარა "ასტანის" კიდევ ერთმა ყაზახმა ველომრბოლმა **ანდრეი კაშეჩკინმა**. თურქეთის ბელექში ვარჯიშისას, პირველ აგვისტოს მას არასაეჭვიბრო შემოწმება ჩაუტარდა, რომელმაც სისხლის დოპინგის გამოყენება გამოუვლინა. ამ ინფორმაციის მიღებისთანავე, "ასტანის" ხელმძღვანელობამ კაშეჩკინს თავისი წევრობა შეუჩერა და თუ სინჯის განმეორებითი შემოწმება პირველი ტესტის პასუხს დაადასტურებს, ყაზახ ველომრბოლს დისკვალიფიკაცია არ ასცდება.

შეგახსენებთ, რომ ანალოგიური დოპინგის გამოყენება ტურის დროს დაუმტკიცდა "ასტანას" ყაზახ ლიდერ **ალექსანდრ ვინოკუროვსაც**. ამის გამო, გუნდი ტურიდან მთლიანად მოიხსნა. მას შემდეგ კი, რაც განმეორებითმა ტესტმა პირველის პასუხი დაადასტურა, ვინოკუროვი გუნდიდან გაირიცხა.

"რაც უნდა მოხდეს, ჩვენ მაინც ვეცდებით, რომ გუნდი შევინარჩუნოთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ სუფთა ველომრბოლები მოვიზიდოთ. ახლა შველა მთლიანად ველოსპორტს სჭირდება და ამისათვის, მისი ყველა მესვეური ბოლომდე უნდა გაისარჯოს", - ნათქვამია "ასტანის" ოფიციალურ განცხადებაში, რომელსაც ახალი, მკაცრი შინაგანაწესის შემუშავება აქვს გადაწყვეტილი.

სხვათა შორის, აღნიშნული სკანდალების მიუხედავად, "ასტანას" სეზონის ბოლო ველომარათონზე, ესპანეთის ტურზე (ვუელტა) გამოსვლის უფლება მიეცა. გუნდს რბოლებში მონაწილეობაზე მორატორიუმი აქვს გამოცხადებული, თუმცა ვარჯიშებს მალე განაახლებს. მერე კი ვუელტაზეც ჩაერთვება.

მერაბ ლორთქიფანიძე

9 აგვისტო. ხუთშაბათი

EUROSPORT

09:30 თავგადასავლები
10:00 სნუკერი. შანხაის საერთაშორისო მასტერსი. მეოთხე დღე
09:30 ფეხბურთი. იუნიორ ჩემპიონთა თასი. მალაიზია. აიაქსი-არსენალი
13:45 ფეხბურთი. იუნიორ ჩემპიონთა თასი. ბოკა ხუნიორსი-ინტერი
15:15 სნუკერი. შანხაის საერთაშორისო მასტერსი. მეოთხე დღე
17:30 ფეხბურთი. იუნიორ ჩემპიონთა თასი. მალაიზია. მალაიზია-ბაიერნი
18:30 ფეხბურთი. იუნიორ ჩემპიონთა თასი. მალაიზია. პარი სენ ჟერმენი-ბარსელონა
19:00 ფეხბურთი. ევროგოლები. ახალი ამბები
19:15 ფეხბურთი. იუნიორ ჩემპიონთა თასი. პარი სენ ჟერმენი-ბარსლეონა
19:45 სნუკერი. შანხაის საერთაშორისო მასტერსი. მეოთხე დღე
22:00 კრივი. ბრძოლა IBO-ს ტიტულისთვის. ქვე-როჭოს წონა. ლას ვეგასი. რიკი ჰატონი (ბრიტ)-ხოსე ლუის კასტილიო (მექს)
24:00 მებრძოლთა კლუბი. მსოფლიო ფინალი
02:00 თავგადასავლები. მთის X რბოლა საფრანგეთში

EUROSPORT2

08:30 ახალი ამბები
11:00 სპორტული თამაშები. ვიკინგები (იაპ)
11:30 სპორტული თამაშები. ვიკინგები (იაპ)
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი (ოზი რულზი). ადელაიდა-პორტ ადელაიდა
13:00 ახალი ამბები
15:00 რალის მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთის რალის მიმოხილვა
16:00 პული. ევროპული. ავსტრია
17:00 ავსტრალიური ფეხბურთი (ოზი რულზი). ადელაიდა-პორტ ადელაიდა
18:00 დარბაზის ამერიკული ფეხბურთი. სან ხოსე სეიბრქეტსი-კოლომბუს დესტროიერზი
19:00 ახალი ამბები
19:30 რალი. ინტერნეიშნლ რალი ჩელენჯი. პორტუგალია
20:00 ტრაიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოუკსტოუნ პარკი (ბრიტანეთი)
20:30 ახალი ამბები
21:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზის სერია. ვარშავა (პოლონეთი). პოლონეთი-ჩინეთი
221:00 ფრენბურთი. მსოფლიო დიდი პრიზის სერია. ვარშავა (პოლონეთი). ჩინეთი-აშშ
23:00 ავსტრალიური ფეხბურთი (ოზი რულზი). ფურნალი
24:00 ახალი ამბები
24:15 რალი. ინტერნეიშნლ რალი ჩელენჯი. პორტუგალია
24:45 ტრაიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოუკსტოუნ პარკი (ბრიტანეთი)
22:15 ახალი ამბები
23:00 ახალი ამბები

ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა

II საკვალიფიკაციო ეტაპი. II მატჩები

ლეკალია-ცრვენა ზვეზდა	2:1 (0:1)
ბაგე-პაუნარუიორლური	1:1 (3:1)
ელფსბორგი-დებრესენი	0:0 (1:0)
შერიფი-ბეშიქთაში	0:3 (0:1)

თარხნიშვილმა სრულად ითამაშა

შახტარი-პინთიკი	2:1 (2:0)
სარაევო-გენკი	0:1 (2:1)
სტიაუა-ზაგლებიე	2:1 (1:0)
ზალცბურგი-ვენგასელსი	4:0 (3:0)

მენთეშაშვილმა სრულად ითამაშა

რუსენბორგი-ასგანა	7:1 (3:1)
სლავია-ვილნა	0:0, პენ. 4:3 (0:0)

გერმანია

რეგიონალლიგა (ჩრ)

უერლი-პამბურგი II	0:2
ალენი-უნიონი	3:1
ემდენი-ბაბელსბერგი	3:1
მაგდებურგი-კოგბუსი II	1:1
ოგერაბუზენი-ვუპერგალი	0:1
ლუბეკი-ვერდერი II	3:0

რეგიონალლიგა (სამ)

უნგერიშინგი-პუულენდორფი	2:1

შოტლანდია

ლიგის თასი

ისტ ფაიფი-ქილინი	1:0
პარტიკ თისლი-ვირდრი	2:1
არბროა-ალბიონ როვერსი	4:2
სტრანრარი-მონტროუზი	1:2

დანია

ვიდბიულანდი-ოლბორგი	2:1

ნორვეგიის თასი

სტაბეკი-ბრომსო	3:0

ფინეთი

კპპ-ინგერი	0:2

ავსტრია

რაპიდი-აუსტრია სპ	4:0

ისლანდია

რეიკიავიკი-ვალური	0:3

რუსეთის თასი

ამკარი-ბერეკე	3:1
კამაზი-მოსკოვი	0:1
სსკა-ხიმკი	2:0
როსტოვი-ბოში	0:1
საბურნი-მეგალურგი	2:1
ყუბანი-ურალი	2:2, დ.დ. 2:3
ნალჩიკი-რუბინი	1:1, დ.დ. 3:2

ამხანაგური მატჩები

ოლიმპიაკოსი-ოსასუნა	1:2
პერაკლესი-სოსიედადი	2:2
გლენგორანი-მანჩესტერ იუნ	0:3
ლაციო-პანათინაიკოსი	2:1
რეალი-ბელენენსესი	1:0
ლივერსი-ბორეგემი	გადაიდო

ბირა მორეტის თასი

იუვენტუსი-ნაპოლი	1:0*
ინტერი-ნაპოლი	2:0
იუვენტუსი-ინტერი	0:1

** - თითოტაიმიანი მატჩები. თასი მოიგო ინტერმა*

ჩოგბურთი

ATP

მონრეალი

ვერდასკო-გასკე	3:6, 7:6, 6:4
ფონინი-მარეი	6:2, 6:2
პრბატი-რობრედო	6:2, 6:4
იუჭნი-ვავრინკა	6:4, 6:4
დავიდენკო-ნიემინენი	6:3, 7:6
ნალბანდიანი-ფერერი	7:6, 6:1
როდიკი-კლემანი	6:1, 7:6
დანცევიჩი-ოდესნიკი	6:3, 4:6, 7:5
პაასი-რასელი	6:3, 6:0
ფედერერი-კარლოვიჩი	7:6, 7:6
პიუიტი-ბლეიკი	გადაიდო

WTA

ლოს ანჯელესი

ბამერი-გოვორცოვა	6:2, 6:1
დემენტიევა-ბრენგლე	6:2, 6:0
პანტუხოვა-კრეიბასი	6:3, 7:6
სრებოტნიკი-სანტანჯელო	6:0, 6:0

ვარსკვლავი

სად ითამაშებს ფორსბერგი?



პეტერ ფორსბერგი

დამტვრეულის თუ ჯანმრთელის, შვედი **პეტერ ფორსბერგის** დამატება ყოველთვის ყველას სურს. ყვანჯის სკანდინავიელი ჯადოქარი ტრავმების მსხვერპლი რომ არ გამხდარიყო, შვედს, ალბათ, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო სტატისტიკური მონაგარი ექნებოდა, ისე კი...

ფორსბერგი, რომელიც 20 ივლისს 34 წლის გახდა, შარშანდელი სეზონით კმაყოფილი რომ ვერ დარჩებოდა, ეს, ელემენტარულად, მისი სტატისტიკიდანაც ჩანს. პირველად მის ოკეანისგაღმურ კარიერაში, პიტერმა რეგულარული ჩატარებულ მატჩზე ნაკლები ქულით დაასრულა, ხოლო "ფილადელფიიდან" "ნეშვილში" გადასვლა კი მისსივე თქმით, დიდი შეცდომა იყო.

ბოლო ინფორმაციით, ფორსბერგის აყვანის მთავარი ფავორიტი "დეტროიტ რედ უინგზია", მას კი კუდში "ანაჰაიმი", "ედმონტონი", "ბაფალო", "ნეშვილი", "აილენდერზი", "კოლორადო" და "პიტსბურგი" მისდევენ.

"დეტროიტი" შვედ ფორვარდს სამწლიან თანამშრომლობას სთავაზობს, რომლის მიხედვითაც პიტერმა სადღაც 11.75 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. ფორსბერგის კალიბრის მოთამაშისთვის ეს არცთუ დიდი ხელფასია, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ მას რომელიმე სხვა კლუბმა ამაზე უკეთესი პირობები შესთავაზოს. მიზეზი კი ისევ და ისევ შვედის ხშირი ტრავმიანობაა.

"ჩვენ უამრავ შეთავაზებას ვიღებთ, თუმცა სიმართლე გითხრათ, პრიორიტეტი ჯერ არცერთი გუნდისთვის არ მიგვინიჭებია, რადგან ამის გაკეთება იოლი არ არის. პიტერს ამერიკაში (ან კანადაში) ერთი და უკანასკნელი ხელშეკრულების გაფორმება სურს, რის მერეც ჩემი კლიენტი ამ ლიგაში კარიერას დაასრულებს და სავარაუდოდ, ერთ-ერთ შვედურ კლუბში გადავა", - ამბობს პიტერ ფორსბერგის აგენტი **დონ ბლეიზი.**

"კოლორადოში" კი იმის იმედი აქვთ, რომ ფორსბერგი თავის ყოფილ გუნდს ანგარიშს გაუწევს და "დეტროიტის" მიერ შეთავაზებულ თანხაზე ნაკლების საფასურად დენვერში დაბრუნებაზე თანხმობას განაცხადებს.

ეს კი ნაკლებად სავარაუდოა, რადგან პიტერის კარიერაში უკვე იყო მომენტი, როდესაც მას "ავალანშისთვის" ფასის დაკლება შეეძლო, მაგრამ მან ეს არ გააკეთა – 2005-ში სკანდინავიელი შეუზღუდავი უფლებების თავისუფალ აგენტად რომ იქცა, საბოლოო არჩევანი არა "კოლორადოზე", არამედ "ფილადელფიაზე" შეაჩერა, რადგან "ფლაიერზი" მას წლიურად 1.25 მილიონით მეტს სთავაზობდა.

ფორსბერგი არ არის ფულზე შეყვარებული ბიზნესმენი-მოთამაშე, მაგრამ მასაც არაერთხელ უთქვამს, რომ უპირატესობას მხოლოდ და მხოლოდ იმას მიანიჭებს, ვინც მის ნამდვილ ფასს გაითავისებს და სათანადო ანაზღაურებასაც შესთავაზებს. პროფესიულ სპორტში დღეს თითქმის ყოველთვის იდენტურ განცხადებებს ვხვდებით.

"ნიუ იორკ თაიმზი" კი აქვეყნებს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც "აილენდერზი" დღე-დღეზე პიტერს 3-წლიან თანამშრომლობას შესთავაზებს, რომლის მიხედვითაც (არ დაიჯერებთ, მაგრამ ასეა) გუნდი მას 25 (!) მილიონს გადაუხდის. თავისთავად, ამ შემთხვევაში, ვერც "დეტროიტი" და ვერც რომელიმე სხვა გუნდი "ნიუ იორკს" კონკურენციას ვერ გაუწევს. შეგახსენებთ, რომ "აილენდერზი" **რაიან სმიტის** დაკარგვის ("კოლორადოში" გადავიდა) შემდეგ აქტიურადაა ჩართული ძლიერ ფლეიმეიქერთან კონტრაქტის გასაფორმებლად.

ზურაბ თალაკვაძე

ვარსკვლავი

დალემბერი კანადის ნაკრებში ითამაშებს

"ფილადელფიასიქსერზის" ცენტრმა **სამუელ დალემბერმა** კანადის მოქალაქეობა მიიღო და ამიერიდან კანადის ეროვნულ ნაკრებში თამაში შეეძლება.

დალემბერი, რომელიც ბოლო რეგულარულში საშუალოდ 10.7 ქულასა და 8.9 მოხსნას აგროვებდა, კანადაში ჯერ კიდევ 7 წლის ასაკში გადავიდა საცხოვრებლად, მერე კი კვებეკის გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე სამოყვარულო ტურნირის გამარჯვებულიც გახდა. კანადაში გადაბარგებამდე სემი ჰაიტიზე ცხოვრობდა.

"ყოველთვის მინდოდა კანადის ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიადაზე გამოსვლა. ეს ჯერ კიდევ 2003-ში უნდა გამეკეთებინა, თუმცა მაშინ მძიმე ტრავმა მივიღე და ეს საქმე მომავლისთვის გადაიდო", - აცხადებს დალემბერი.

"სემი ნაკრებისთვის საჭირო კაცია. ჩვენი მიზანი ოლიმპიადაზე გასვლაა და გვჯერა, რომ დალემბერი დიდ დახმარებას გაგვიწევს", - ამბობს კანადის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ლეო რაუტინსი**, რომელიც თავის დროზე, ასევე "ფილადელფიის" წევრი იყო.

სტოკჰოლმის სუპერ დიდი პრიზი

ბრილიანტების ცვენა სტოკჰოლმში

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, 400 მეტრზე მორბენალმა **ჯერემი უორინერმა** სტოკჰოლმის სუპერ დიდ პრიზზე ასპარეზობისას, თავის კარიერაში საუკეთესო შედეგით (43.50 წამი) გაიმარჯვა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, უორინერის ეს შედეგი, 400 მეტრზე სპრინტის ისტორიაში მესამე საუკეთესოა. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შედეგი ასევე დაფიქსირებული აქვს ამერიკელ **ქვინსი უოტსს**.

უორინერზე უფრო სწრაფად, გრძელი სპრინტის დისტანცია მხოლოდ მის ორ სახელოვან აგენტს, **მაიკლ ჯონსონსა** და **ბაჰ რეინოლდსს** აქვთ გარბენილი. რაც შეეხება უოტსს, მან თავისი მიღწევა ბარსელონას 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებზე დაფიქსირა.

"ბედნიერი ვარ, რომ აქ პირადი რეკორდი გავაუმჯობესე. სხვა თუ არაფერი, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რომ დანარჩენებზე ნახევარი წამით უკეთ გაირბენ, ეს კარგის ნიშანია", - განაცხადა უორინერმა, ვინც ოსაკაში თავისი ტიტულის დაცვას ეცდება და არც იმას მალავს, რომ ოსაკაშივე, მსოფლიო რეკორდის (43.18) გაუმჯობესებას აპირებს. თუ რეკორდს არა, 43.3 წამის ფარგლებში მაინც ვირბენო.

ცნობისთვის, ჯონსონმა მსოფლიო რეკორდი 1999 წელს სევილიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობისას დაამყარა. სხვათა შორის, ჯონსონი უორინერს რჩევებსაც აძლევს და დიდი სურვილი აქვს, რომ მისი რეკორდი სწორედ ჯერემიმ გააუმჯობესოს.

უნდა ითქვას, რომ უორინერის შედეგი სტოკჰოლმის სტადიონის რეკორდიცაა, რისთვისაც მან ერთკარატიანი ბრილიანტი დაიმსახურა. ცნობისთვის, შარშან, ამავე სტადიონზე მან დისტანცია 44.02 წამში გაირბინა და მაშინაც ბრილიანტი მიიღო.

უორინერის გარდა, ბრილიანტი ხორვატმა სიმაღლეზე მხტომელმა **ბლანკა ვლასიჩმაც** დაიმსახურა. მესამე ცდაზე ის 2.07 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და წინა საუკეთესო შედეგი ერთადერთი სანტიმეტრით გაუმჯობესა. სხვათა შორის, ეს ამ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო შედეგიცაა.

სტადიონის რეკორდი რომ გააუმჯობესა, მერე ვლასიჩმა ოცწლიანი მსოფლიო რეკორდის დამხობაც სცადა - თამასა 2.10 მეტრზე ააწევინა. მაგრამ სამივე ცდა გააფუჭა და რეკორდსაც დროებით შეეშვა.

ბრილიანტის მოპოვების დიდი სურვილი ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდსმენს, იამაიკელ **ასაფა პაუელსაც** ჰქონდა. მან ფინიშს ყველაზე სწრაფად, 10.04 წამში უწია. სხვათა შორის, რეკორდსმენს არნახული კონკურენცია გაუწია ბაჰამელმა **დერიკ ატკინსმა**, ვინც დისტანცია 10.05 წამში გაირბინა.

"ეს ჩემთვის საშინელი დროა. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ცუდი სტარტი ავიღე. მაგრამ შუა გზაზე საკმაოდ ავჩქარდი იმისთვის, რომ ფინიში პირველს გადამეკვეთა. თუმცა, მაინც შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის საგანგაშო არაფერი მაქვს. კარგად ვიცი, რა უნდა გამოვასწორო და გარწმუნებთ, ოსაკაში სულ სხვა შედეგი მექნება", - განაცხადა ასაფამ.

კიდევ ერთი ბრილიანტი ეთიოპიელმა სტაიერმა **კენენისა ბეკელემ** დაიმსახურა. 10 000 მეტრზე სირბილში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ამჯერად 3 000 მეტრზე ირბინა და ფინიშს შვიდ წუთსა და 25.79 წამში მიაღწია. ასპარეზობის შემდეგ მან განაცხადა, რომ ოსაკაში, თუ კარგი პეისმეიკერი (ადრეული ლიდერი) ეყოლება, მაშინ მსოფლიო რეკორდზეც იფიქრებს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვგრძნობ, საუკეთესო ფორმაში ვარო.



უორინერი ფინიშზე

მერაბ ლორთქიფანიძე

ქრონიკა
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჯუგელიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ეგანოვიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 იელისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე, გარდა კვირისა

ტურნირების მიმოხილვა

მარეი გამარჯვებით დაბრუნდა

სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ტრავმის გამო, ბრიტანელმა ამომავალმა ვარსკვლავმა **ენდრიუ მარეიმ** ატპ-ს ტურნირებზე ბოლო შეხვედრა ჩაატარა. ტრავმის გამო, მას საფრანგეთის ღიასა და უიმბლდონზე თამაშის საშუალება არ მიეცა. და აი, მისი დაბრუნება მონრეალის მასტერსის სერიის ტურნირზე მოხდა.

მარეიმ ორ სეტში, თითო ბრეიკის უპირატესობით დაამარცხა ამერიკელი **რობი გინეპრი**, ნამატჩევს კი განაცხადა, რომ ტრავმა სრულად მოიშუშა და იმედი აქვს, რომ აშშ-ის ღია პირველობაზე თამაშისას ის ხელს აღარ შეუშლის. შეგახსენებთ, რომ მარუის მარჯვენა მაჯის სახსრების ანთება ჰქონდა, რამაც ხანგრძლივი მკურნალობა მოითხოვა.

"ექიმი და ფიზიოლოგი მარწმუნებენ, რომ ტრავმა სრულადაა მორჩენილი და თამამად შემიძლია მაჯის დატვირთვა. ამ ეტაპაზე, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან თუ კორტზე ყოფნისას მისი ხელახლა ტრავმირების შიში მექნება, მაშინ ჩემი შესაძლებლობის ნახევარსაც ვერ გამოვიყენებ", - ამბობს მარეი, ვინც იმედოვნებს, რომ "ფლეშინგ მედოუსზე" სრული დატვირთვით შეძლებს თამაშს.

და მაინც, შოტლანდიელი მეჩოგნე მონრეალის ტურნირის პირველ წრეში თავიდან ფრთხილად ირჯებოდა. ალბათ, ნაწილობრივ ამის შედეგიც იყო, რომ გინეპრიმ შეხვედრის დასაწყისში შეძლო ბრეიკის მოპოვება, თუმცა პასუხი არც მარეიმ დააყოვნა. მერე მანვე მეცხრე გემაში კიდევ ერთი ბრეიკი აიღო და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტიც მარეისთვის ცუდად დაიწყო - გინეპრი 3:0 დაწინაურდა. თუმცა, შემდეგ ამერიკელი ოდნავ მოეშვა და შეცდომებს უხშირა, რამაც მარეის სასიკეთოდ იმუშავა. ბრიტანელმა ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო და 5:3 დაწინაურდა. კიდევ ორი გეიმი და შეხვედრა მისი გამარჯვებით დასრულდა.

მეორე წრეში მარეის გაცილებით იოლი მეტოქე ეყოლება იტალიელი **ფაბიო ფონინის** სახით, ვინც ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპის გავლით მოხვდა. თუ მასაც მოუგებს, მაშინ სკოტ მეჩოგნეს მესამე წრეში მსოფლიოს პირველ ჩოგანთან, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერთან** შეხვედრის დიდი შანსი აქვს.

მონრეალის ტურნირი მოგებით დაიწყო მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, უიმბლდონის ნახევარფინალისტმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. როგორც მესამე ნომრად განთესილი, ის ტურნირს მეორე წრიდან ჩაერთო და საკმაოდ იოლად დაამარცხა გერმანელი **ნიკოლას კიფერი**. სერბმა ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით კი მოიგო, მაგრამ ამისთვის პირველ სეტში ერთი ბრეიკი დასჭირდა, მეორეში კი - ორი. სულ კი გასამარჯვებლად 83 წუთი იმყოფინა.

სხვათა შორის, ჯოკოვიჩმა უიმბლდონის ნახევარფინალში ტრავმა მიიღო, თუმცა კიფერთან შეხვედრაში მისი კვალიც აღარ ეტყობოდა. უიმბლდონის შემდეგ ფეხის, წელისა და მხრის ტრავმები მოვიშუშე, ახლა კარგად ვარ და ვიმედოვნებ, რომ აშშ-ის ღიაზე ტრავმები აღარ შემაწუხებსო, - ამბობს ოცი წლის სერბი, ვისაც ამ სეზონში მასტერსის სერიის ერთი ტურნირი (მაიამი) უკვე მოგებული აქვს.

"სეზონის დასაწყისში დავამტკიცე, რომ ჰარდზე კარგად თამაში შემიძლია. ჰოდა, ვიმედოვნებ, რომ აშშ-ის ღიას სერიაზე კარგად გამოვალ. მთავარი მიზანი კი ამ ეტაპზე აშშ-ის ღიასთვის მომზადებაა. ამიტომ, რაც შორს წავალ, მით უკეთესი - სათამაშო პრაქტიკის დაგროვების შესაძლებლობა მომეცემა", - ამბობს ჯოკოვიჩი.

დაძაბული პაექრობა ჰქონდათ ჩილელ **ფერნანდო გონსალესსა** და ჩეხ **რადეკ სტეპანეკს**. შეხვედრა სამი სეტი გაგრძელდა, რომელთაგან პირველ ორში, გამარჯვებული ტაიბრეიკზე გაირკვა. გადამწყვეტ სეტში, როცა ანგარიში 4:4 იყო, ჩეხის მოწოდებაზე, ჩილელმა ჩოგბურთელმა სამი ბრეიკ პოინტი მიიღო, მაგრამ ვერცერთი გამოიყენა. სამაგიეროდ, მომდევნო გეიმში, სტეპანეკმა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა და შეხვედრასაც მოპოვებული ბრეიკით დაუსვა წერტილი.

რაც შეეხებათ პირველ ორ ნომრად განთესილებს - ფედერერი მონრეალის კამპანიას ხორვატ გიგანტ **ივო კარლოვიჩთან** შეხვედრით დაიწყებს, ესპანელ **რაფაელ ნადალს** კი პირველივე შეხვედრაში მეტად ძლიერი მეტოქე ეყოლება რუსი **მარატ საფინის** სახით.

პარალელურად, ლოს ანჯელესში მიმდინარე, მეორე კატეგორიის ტურნირს უკვე გამოეთიშა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი**, ვისაც სამ სეტში ინდოელმა **სანია მირზამ** აჯობა. ტურნირს ასევე გამოეთიშა უიმბლდონის ფრანგი ფინალისტი **მარიონ ბარტოლი**. სამაგიეროდ, პირველი ბარიერი იოლად გადალახა ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა, რუსმა **ელენა დემენტიევამ**, ვინც ორ სეტში მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო თავის თანამემამულე **ეკატერინა მაკაროვას**.

მირზა აგრძელებს ჰარდის ტურნირებზე კარგ გამოსვლას. გადამწყვეტ სეტში, როცა ანგარიში 1:1 იყო, მან ორი ბრეიკ პოინტი მოიგერია. მეათე გეიმში კი, მეოთხე მატჩ პოინტი მას შემდეგლა გამოიყენა, როცა ჰინგისმა ფორჰენდი უხეიროდ შეასრულა. ნამატჩევს მირზამ გაანაცხადა, ამდენი ტურნირის თამაშის შემდეგ, დაღლას ვგრძნობ, მაგრამ სამაგიეროდ, ძლიერ მეტოქეებთან თამაშს მივეჩვიე და მათი შიში აღარ მაქვსო.

ჰინგისმა კი განაცხადა, რომ წლეულს ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ ჯერ არ უნდა დაბრუნებულიყო. ჰოდა, ახლა ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ ტორონტოს ტურნირს გამოტოვებს და აშშ-ის ღიასთვის ტურნირებზე გამოუსვლელად მოემზადება.

რაც შეეხება ბარტოლის, პირველივე წრეში ის ზედიზედ მესამე ტურნირს ეთიშება. ფრანგმა განაცხადა, რომ ამ წაგებებით თავდაჯერებულობა მოაკლდა და ახლა ეს მისთვის უმთავრესი პრობლემაა. თავდაჯერებულობა მაშინ მოდის, როცა თამაშებს იგებ, წაგებას კი მხოლოდ პრობლემები მოაქვსო, - ამბობს ბარტოლი.

მერაბ ლორთქიფანიძე

ენდი მარეი

ATP

როჯერს კაპი

მონრეალი (კანადა)
მასტერსის სერია. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 2 450 000 დოლარი

პირველი წრე

მარიო ანჩიჩი (ხორ)-ფრედერიკ ნიმაიერი (კან) 6:4, 6:2; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-კარლოს მოია (ესპ) 7:6(7), 6:1; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 3:6, 6:1, 6:3; **ივო კარლოვიჩი (ხორვ)**-მაქს მირნი (ბელა) 4:6, 6:3, 7:6(3); **მარატ საფინი (რუს)**-რობინ სოდერლინგი (შვედ) 1:2 სოდერლინგის ტრავმა; **ენდი მარეი (ბრიტ, 13)**-რობი გინეპრი (აშშ) 6:4, 6:4; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-იურგენ მელცერი (ავსტ) 7:5, 7:6(4); **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ჟულიან ბენეტიუ (საფ) 6:3, 6:4; **ტომი ჰაასი (გერ, 12)**-აგუსტინ კალერი (არგ) 6:3, 7:6(6)

მეორე წრე

რადეკ სტეპანეკი (ჩეხ)-ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 6) 6:7(2), 7:6(1), 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-ნიკოლას კიფერი (გერ) 6:3, 6:3

WTA

ისტ ვესტ ბენკ კლასიკი

ლოს ანჯელესი (აშშ)
მეორე კატეგორია. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

პირველი წრე

მეგან შონესი (აშშ)-ვანია კინგი (აშშ) 6:2, 6:4; **ელენი დანიილიდუ (საბ)**-არავან რეზაი (საფ) 3:6, 6:2, 6:1; **ლილია ოსტერლო (აშშ)**-ალისია მოლიკი (ავსტრა) 6:2, 6:4; **აი სუგიამა (იაპ)**-კამილ პენი (საფ) 5:7, 6:3, 6:3; **მარა სანტანჯელო (იტა)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:1, 7:6(3); **კატარინა სრებოტნიკი (სლო, 15)**-ბეთანი მატეკი (აშშ) 6:4, 7:5; **ელენა დემენტიევა (რუს, 9)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:3, 6:1; **პენ შუაი (ჩინ)**-იაროსლავა შვედოვა (რუს) 6:3, 6:4 ; **შაჰარ პეერი (ისრ, 10)**-დომინიკა ჩიბულკოვა (სლვკ) 6:2, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბელა)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:3, 6:3

მეორე წრე

სანია მირზა (ინდ)-მარტინა ჰინგისი (შვეი, 7) 6:2, 2:6, 6:4; **მარია კირილენკო (რუს)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 6) 7:6(2), 6:3; **ხისელა დულკო (არგ)**-ტამარინ ტანასუგარნი (ტაილ) 6:1, 6:3; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-იულიანა ფედაკი (უკრ) 6:4, 6:3; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-დინარა საფინა (რუს, 8) 6:2, 7:5